პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 76 (19518) ◆ შაბათი, 29 მარტი, 1986 წელი. ◆ ფასი 8 კაპ.

მშვიდობის საერთაშორისო ფილი ყველა სახელმწიფოს ერთგული მოქმედების წესი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს

პატივცემულო ბატონო გენერალურო მდივანო,

საბჭოთა კავშირში კმაყოფილებით აღიქვეს ის, რომ მიმდინარე, 1986 წელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ერთსულოვნად გამოაცხადა მშვიდობის საერთაშორისო წლად. ჩვენ ეს მიგვაჩნია მსოფლიო გაერთიანების ის მისწრაფების გამოხატულებად, რომ ბოლოს და ბოლოს უზრუნველყოს სასიკეთო გარდატეხა საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაში.

ასეთი მიდგომა მთლიანად შეესაბამება საგარეო-პოლიტიკურ პრინციპებსა და მიზნებს, რომლებიც სკკპ XXVII ყრილობამ დასახა. ჩვენ საკუთარ იდეალად მოგვაჩნია მსოფლიო უიარაღოდ და ძალმომრეობის გარეშე, სადაც ყოველი ხალხი იცხოვრებს სამართლიან პირობებში, უშიშრად, თავისუფლად განსაზღვრავს თავის ბედს.

რეალურია კი ასეთი მომავლის გზის გაკვალვა ჩვენი ახლანდელი მსოფლიოდან, რომელიც სავსეა იარაღით, უსიცოცხლო უდაბნოდ მისი გადაქცევის საფრთხეს რომ გვიქადის? ჩვენ ამ კითხვას მტკიცე დადებით პასუხს ვცემთ. საამისოდ უფრანრეს ყოვლისა საჭიროა შევიგნოთ, რომ ბირთვულ-კოსმოსურ ეპოქაში ჩვენი პლანეტა ერთობ პატარა და სუსტია ომებისა და ძალის პოლიტიკისათვის, უნდა გავიმეტვალოთ ახალი პოლიტიკური აზროვნებით, რომელიც მოითხოვს, რომ დაგარჩენისა და ყველასათვის თანაბარი უშიშროების ფილოსოფია გაბედული და გადამჭრელი მოქმედებით განმტკიცდეს. სწორედ ეს არის სკკპ ყრილობის მიერ განსაზღვრულ დებულებათა დედააზრი.

ყრილობაზე წამოყენებული წინადადება საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის საფუძვლების შესახებ ჰარმონიულად ეთანხმება მშვიდობის საერთაშორისო წლის მიზნებსა და ამოცანებს. საქმე ეხება მშვიდობიანი თანაარსებობის გადაქცევას სახელმწიფოთა ურთიერთობის უნივერსალურ პრინციპად, რომელიც სახელმწიფოებისა და ხალხების კონსტრუქციული და აღმშენებლობითი ურთიერთმოქმედებით განხორციელდება.

ყრილობამ სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის ცენტრალურ მიმართულებად განსაზღვრა ბრძოლა განიარაღების მეშვეობით საყოველთაო უშიშროების მიღწევის იმ პროგრამის რეალიზაციისათვის, რომელიც 1986 წლის 15 იანვარს გამოქვეყნდა. მისი ქვაკუთხედია ბირთვული იარაღის ეტაპობრივი ლიკვიდაციის გეგმა, რომელიც დამკვრელი კოსმოსური შეიარაღების აკრძალვასაც ითვალისწინებს. სსრ კავშირი წინადადებას იძლევა, რომ ბირთვულ იარაღთან ერთად მთლიანად იქნეს ლიკვიდირებული ქიმიური იარაღიც, რომ უარი ვთქვათ მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებების შექმნაზე. ამასთან ერთად ჩვენ მზად ვართ ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების დარგშიც გადავდგათ ისეთი ნაბიჯები, რომლებისთვისაც სხვა სახელმწიფოები იქნებიან მზად. ჩვენს მიერ წამოყენებული განიარაღებასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიება ითვალისწინებს კონტროლს, მათ შორის, საჭირო შემთხვევებში, ადგილებზე ინსპექციასაც. ეს კონტროლი საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ შეთანხმებათა დაცვა ყველა მხარის მიერ.

ხალხებს შეუძლიათ მიაღწიონ და კიდევაც უნდა მიაღწიონ იმას, რომ მშვიდობის საერთაშორისო წელი კაცობრიობის ისტორიაში შევიდეს საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის დაწყების წლად, ხოლო ყოველი მომდევნო წელი საუკუნის დასასრულამდე ხდებოდეს ბირთვული იარაღისაგან კაცობრიობის სრული განთავისუფლების, საყოველთაო მოსპობის საფრთხის აღმოფხვრისაკენ მიმავალი გზის ნიშანსვეტი.

ამის რეალურ შესაძლებლობას მოგვცემდა ბირთვული იარაღის გამოცდის სრული შეწყვეტა და აკრძალვა. გამოცდის მოუწყობლობა ნიშნავს იმას, რომ ბოლო მოვუღოთ ასეთი იარაღის სრულყოფას, მისი ახალი სახეობების შექმნას, დავიწყოთ პრაქტიკული წინსვლა ბირთვული არსენალების ლიკვიდაციისაკენ. ეს საკითხი დღეს მსოფლიოს ხალხთა ყურადღების ცენტრში მოექცა.

მშვიდობის საერთაშორისო წლის უმნიშვნელოვანესი მოვლენა შეიძლება გახდეს მორიგება ევროპის ზონაში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საშუალო სიშორის რაკეტების ნაცვალგების საფუძველზე სრული ლიკვიდაციის შესახებ. საბჭოთა კავშირი მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება ამ საკითხზე, ისევე როგორც ბირთვული გამოცდების თაობაზე, ყოველგვარი დაკავშირების გარეშე. მშვიდობის საერთაშორისო წელი შეიძლება აღინიშნოს იმით, რომ სახელმწიფოებმა გაიერთიანონ მეცადინეობა კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი ათვისებისათვის, კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებისა და მშვიდობიანი მიზნებით მისი გამოყენების საქმეში საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციული საფუძვლების შექმნისათვის, რასაც არსებითად ერთსულოვნად მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნა არა მარტო მრავალმხრივი, არამედ გლობალური ამოცანაც არის, რომელიც სახელმწიფოებისა და ხალხების, ყველას და თითოეულის გაერთიანებულ ძალისხმევას მოითხოვს. ამ ამოცანის გადაწყვეტაში თავისი ქმედითი წვლილის შეტანა მართებს ყველა საერთაშორისო ფორუმს და უწინარეს ყოვლისა მრავალმხრივი თანამშრომლობის ისეთ უნივერსალურ ორგანოს, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. მშვიდობის უზრუნველყოფის ცოცხალი საქმე უსასრულო სიტყვიერ პაექრობებში არ უნდა ჩაიძიროს. ხალხები მოელიან, რომ ყველა მიმდინარე მოლაპარაკება ეფექტიანი და შედეგიანი გახდეს.

დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს მსოფლიო გაერთიანების ყველა ქვეყნის ხელმძღვანელთა რეგულარულმა, როგორც ორმხრივმა, ისე მრავალმხრივმა დიალოგმა. ამასთან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად მსოფლიოში შექმნილი ვითარებისათვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს, რომლებიც ამასთანავე ბირთვული სახელმწიფოებიც არიან. სწორედ ამიტომ, საბჭოთა კავშირი ხუთი სახელმწიფოს ლიდერებს სთავაზობს შეიკრიბონ მრგვალ მაგიდასთან და იმსჯელონ იმაზე, თუ რა შეიძლება გაკეთდეს და უნდა გაკეთდეს მშვიდობის განსამტკიცებლად, უწინარეს ყოვლისა ბირთვული იარაღის მოსასპობად. ცხადია, რომ ამასთან მხედველობაში გვაქვს არა მსოფლიო საქმეების „ხელმძღვანელობის“ რაღაც პრეტენზიების აღიარება, არამედ, არსებითად, საწინააღმდეგო მიზანი. ბირთვული იარაღის ლიკვიდაციასთან ერთად ხომ ალარ იარსებებდა მის მფლობელ სახელმწიფოთა ეგრეთ წოდებული „რჩეულთა კლუბი“ და გაგანტური ძვრა მოხდებოდა საერთაშორისო ურთიერთობის დემოკრატიზაციის მიმართულებით.

როცა საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის ფართო მასშტაბის პროგრამას სახავს, საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობს იმით, რომ ღონისძიებები, რომლებიც მშვიდობის საერთაშორისო წლის ფარგლებში იგეგმება და ხორციელდება, მოწოდებულია ხელი შეუწყოს სახელმწიფოებისა და ხალხების ერთობლივ აქციებს ომის საშიშროების აღმოფხვრის მიზნით, დარაზმოს საამისოდ ხალხის უფართოესი მასები.

მსოფლიო ვითარების ძირეული სასიკეთო გარდატეხის უზრუნველსაყოფად გამიზნულ გადამჭრელ ღონისძიებებს როცა ახორციელებს, საბჭოთა ხელმძღვანელობა ასრულებს მთელი ჩვენი ხალხის გაანგარიშებას, ემყარება მშვიდობის, გონიერებისა და კეთილი ნების პოტენციალს, რომელიც სულ უფრო მტკიცდება პლანეტაზე.

საბჭოთა ადამიანები იმედს გამოთქვამენ, რომ მშვიდობის საერთაშორისო წელს ყველა ქვეყანაში გამოიყენებენ იმისათვის, რომ წლეულსვე გადაიდგას კონკრეტული, პრაქტიკული ნაბიჯები ბირთვული კატასტროფის საფრთხისაგან ახლანდელი და მომავალი თაობების რეალური ხსნის მიმართულებით. საბჭოთა კავშირი კვლავაც მიიღებს მონაწილეობას მეცადინეობაში იმისათვის, რომ ხორცი შეესხას მშვიდობის საერთაშორისო წლის მიზნებს, რომლის დევიზია: „უზრუნველყოთ მშვიდობა და კაცობრიობის მომავალი“, აქტიურად შეუწყობს ხელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლისა და ავტორიტეტის გაძლიერებას მშვიდობის, ხალხთა უშიშროების განმტკიცებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების საკითხებში.

მ. გორბაჩოვი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ 27 მარტს გამართულ სხდომაზე განიხილა საბითუმო ვაჭრობის წესით მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაზე მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების, გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების გადაყვანის საკითხი. ამასთან დაკავშირებით დასახული ღონისძიებები განხორციელდება 1987 წლიდან, რათა შესრულდეს პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი ახალი სამეურნეო მექანიზმისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მოთხოვნათა შესაბამისად მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გარდაქმნის შესახებ. ეს გადადგებს მომარაგების ოპერატიულობისა და სტაბილურობის, უზრუნველყოფს მატერიალური რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებას, გაამარტივებს ფონდების განაწილების წესს, აგრეთვე გაათავისუფლებს საწარმოებსა და სამინისტროებს შესაბამისი განაცხადების შედგენისათვის საჭირო ერთობ დიდი მუშაობისაგან.

მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილება ბავშვობიდან ინვალიდების ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ. მასში გათვალისწინებულია, რომ გაუდიდონ დახმარების ოდენობა ამ კატეგორიის ინვალიდებს, დაუწესონ შეღავათები მედიკამენტებით უზრუნველყოფაში, ინვალიდთა ნაწილს მიანიჭონ ქალაქის ტრანსპორტით უფასო მგზავრობის უფლება, შემოიღონ შემოგდმაზამთრის პერიოდში რკინიგზით, საჰაერო, წყლისა და საქალაქთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების ფასჩამოკლება. გათვალისწინებულია არსებითად გააუმჯობესონ ბავშვობიდან ინვალიდების ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მომზადება, სამედიცინო მომსახურება, მათი საბინაო პირობები.

სკკპ XXVII ყრილობის სახელზე მოსული მშრომელთა მრავალი წინადადების გათვალისწინებით პოლიტბიუროომ განიხილა საკითხი უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ამოცანების შესახებ. ამ მიზნით დასახულია განხორციელდეს სამართლებრივი და სხვა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია უკანონო საქმიანობის გზით, დატაცების, მექრთამეობის, სპეკულაციის, სახელმწიფოს კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებათა, მანქანებისა და მექანიზმების ანგარების მიზნით თვითნებური გამოყენების გზით მიღებული უშრომელი შემოსავლის აღმოფხვრა.

ცენტრალურ და ადგილობრივ პარტიულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს დაევალათ გააძლიერონ ბრძოლა იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც იღებენ უშრომელ შემოსავალს, აწარმოონ იგი აქტიურად და უკომპრომისოდ, მიაღწიონ, რომ განუხრელად იყოს დაცული შრომის შინდვიდი ანაზღაურების სოციალისტური პრინციპი, მტკიცედ აზოგადოს სახელმწიფოსა და მოქალაქეთა ხარჯზე უკანონო გამდიდრების ყველა არხი და ხვრელი.

ამასთან დასახულია შემუშავდეს სამართლებრივი აქტები, რომლებიც უფრო ზუსტად მოაწესრიგებენ კონსტიტუციით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას კუსტარულ-ხელოსნური რეწვის, სოფლის მეურნეობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგსა და სხვა სფეროებში, რომლებიც დაფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეთა პირად შრომაზე.

პოლიტბიუროომ კონტროლის წესით განიხილა, თუ როგორ სრულდება წინათ მიღებული გადაწყვეტილებანი მეცხოველეობისათვის ცილოვანი საკვების წარმოების შესახებ. აღინიშნა, რომ მთელმა რიგმა სამინისტროებმა და უწყებებმა, აგრეთვე ზოგიერთი რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა ვერ მოაგვარეს ჯეროვანი ორგანიზატორული მუშაობა დასახული ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად.

პოლიტბიუროომ გააფრთხილა შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, რომ მათ ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა უუფო შესრულებისათვის. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს წინადადება მიეცათ განხილონ საკვები ცილის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხების მთელი კომპლექსი და უზრუნველყონ საკვების გამოშვების გადიდების შესახებ. ნაზგასმით აღინიშნა მისწრაფება, კიდევ უფრო განვავითაროთ თანამშრომლობა ინდოეთის კომუნისტურ პარტიასთან, ყოველმხრივ განვამტკიცოთ მეგობრობა, რომელიც აკავშირებთ საბჭოთა და ინდოელ ხალხებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განხილეს მთელი რიგი სხვა საკითხები, რომლებიც ეხება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის განხორციელებას, მშვიდობისა და სოციალიზმის ძალების პოზიციის განმტკიცებას, გამალებული შეიარაღების დაძლევასა და საერთაშორისო ურთიერთობის გაჯანსაღებას რომ ისახავს მიზნად.

ხელი მოაწერეს დოკუმენტებს

27 მარტს კრემლში მოლაპარაკება განაგრძეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა და ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის გენერალურმა მდივანმა შ. ბენჯედიდმა.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის გენერალური მდივანი ა. თ. დობრინინი და სხვები, აგრეთვე ალჟირელი ოფიციალური პირები, რომლებიც ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელს ახლავან.

მოლაპარაკების დროს, რომელმაც საქმიან, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს საბჭოთა კავშირ-ალჟირის ორმხრივი ურთიერთობის საკითხებს. გამოთქვა კმაყოფილება ამ ურთიერთობის წარმატებული განვითარების გამო და დადასტურდა მისწრაფება, რომ კვლავაც განამტკიცონ საბჭოთა კავშირ-ალჟირის მეგობრული კავშირურთიერთობა.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ ორმხრივი თანამშრომლობის სფეროში შეძენილია მნიშვნელოვანი დადებითი გამოცდილება, რომელიც სხვადასხვა სფეროში ამ ურთიერთობის შემდგომი გაფართოების საშუალებას იძლევა.

პოლიტბიუროომ გააფრთხილა შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, რომ მათ ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა უუფო შესრულებისათვის. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს წინადადება მიეცათ განხილონ საკვები ცილის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხების მთელი კომპლექსი და უზრუნველყონ საკვების გამოშვების გადიდების შესახებ. ნაზგასმით აღინიშნა მისწრაფება, კიდევ უფრო განვავითაროთ თანამშრომლობა ინდოეთის კომუნისტურ პარტიასთან, ყოველმხრივ განვამტკიცოთ მეგობრობა, რომელიც აკავშირებთ საბჭოთა და ინდოელ ხალხებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განხილეს მთელი რიგი სხვა საკითხები, რომლებიც ეხება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის განხორციელებას, მშვიდობისა და სოციალიზმის ძალების პოზიციის განმტკიცებას, გამალებული შეიარაღების დაძლევასა და საერთაშორისო ურთიერთობის გაჯანსაღებას რომ ისახავს მიზნად.

ალჟირელ ეკონომისტთა ასოციაციის ხელმძღვანელი ბ. ბენ-ალი,

ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ ᲘᲓᲔᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲨᲘ ᲭᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲡ

ᲡᲐᲓᲐᲛ, ალბათ, არის არჩევანი, სადაც დაუნერგავ მეცნიერულ იდეებს ინახავენ.

რომ მოგვეძებნა, ეტყობა, მივაგნებდით იმ საკუჭნაოებში ჩვენი ამბის მონაწილეთა სახელებს...

...და აი, იგივე კანდიდატები, უმცროსი მეცნიერი თანამშრომლები და ლაბორანტები ახლა მეცნიერების მამოძრავებლად გვევლინებიან.

ხუმრობა იქით იყოს და, ახლა საბოლოო შედეგისთვის მუშაობენ. შედეგი კი მათთვის მუშაობს, დახასიათებებში ვეღარ შეხვდებით სიტყვებს „ნიჭიერი“, „კეთილსინდისიერი“, „თავდადებული“. ახლა პირდაპირ მიუთითებენ: გააკეთა ესა და ეს, შეიმუშავა ეს, მიაღწია ასეთ და ასეთს შედეგს... საშინელი რაციონალისტები გახდნენ.

რაო, რა მოხდა? მოხდა გარდაქმნა: დაარსების დღიდან ლაბორატორიაში, ექსპერიმენტის სახით, მეცნიერ მუშაკთა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ისეთი სისტემა, შემკვეთთან ურთიერთობის ისეთი მექანიზმი მოქმედებს, რომლებშიც მთავარსარდალი ერთია — საბოლოო შედეგი. ამიტომ სწორედ ამ ბოლოდან — შედეგიდან უნდა დავიწყოთ.

თბილისის უნივერსიტეტის ბიოქიმიის კათედრასთან ბიოტექნოლოგიის ლაბორატორიის (მეცნიერი ხელმძღვანელი — ნ. ალექსიძე, ლაბორატორიის გამგე — თ. მდინარაძე) სამი წლის არსებობის მანძილზე გამოგონებათა 12 საავტორო მოწმობა მიიღეს. მომზადებული და დამტკიცებულია 14 სახელობის ახალი პროდუქციის (სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნარჩენებისაგან) დოკუმენტაცია. აქედან 10 სახეობა დანერგილია ან ინერგება.

სხვებს შორის იდეიდან ტექნოლოგიამდე დამუშავდა უნარჩენო წარმოება მსგავი მეღორეობის კომპლექსებისათვის. სისტემა გამოიცადა და დაინერგა.

კრწანისის მეღორეობის კომპლექსში ახლა 18 ათასი ღორი ჰყავთ, მომავალში კი 24 ათასი იქნება. ეს ღორები უკვე ახლა 40 ათას ტონა, ბოდიშს ვიხდით ამ სიტყვისთვის, ჩხრინკელას იძლევიან. ამ ნარჩენების გაუვნებლობისათვის ბუნებას დიდძალი დრო სჭირდება, თანაც — თავის საზიანოდ. ღორის ხორცის ინდუსტრიული წარმოება სალექარების გამრავლებას იწვევს. ა. ისინი უკვე აფერხებენ წარმოებას (არის ქვეყნები, სადაც ამის გამო წარმოება იხურება). ერთი სიტყვით, ფრიად რთული პრობლემაა.

რა ქნეს ქართველმა მეცნიერებმა? მათ შექმნეს ნარჩენების უტილიზაციის მარტივი ტექნოლოგია მათი შემდგომ გამოყენებით. იგი ეფექტიანია და საკმაოდ მარტივი მოწყობილობა სჭირდება. გადამუშავებული ნარჩენების გამოყენების სპექტრი ძალზე ფართოა. ეს არის საკვების დანამატები, თერმოოქტიური პლასტმასების წარმოებაში საჭირო შემსებიც, სასუქიც.

პლასტმასის ქარხნის დირექტორს გ. ბოჟორიშვილს მოსწონს ახალი მასალების ფასი. ეს ეკონომია ეფექტი — ყოველ ათას ღორზე!

ამ ეფექტმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მეღორეობის კომპლექსის დირექტორ თ. ჭრელაშვილზე. კარგი იქნებოდა, ფართო პრაქტიკაშიც დაგვნერგოო! რესპუბლიკური სახაგრომრეწვი, როგორც ძირითადი შემკვეთი, მზად არის შეისყიდოს საჭირო მოწყობილობა. მაგრამ ჯერ-ჯერობით

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა, თანამშრომლებმა და სტუდენტებმა დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობით განვლეს მეთერთმეტე ხუთწლედი და სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით ზედიზედ მეცხრედ სპპაღი ჯილდო — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოსა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა დაამსახურეს.

პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი პედაგოგიური სასწავლო-სამეცნიერო ცენტრია. მან არსებობის 50 წლის მანძილზე სამშობლოს ათასობით სპეციალისტი მოუმზადა, რომელთაგან ბევრი საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი, დამსახურებული პედაგოგი, კულტურის მოღვაწე, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო მუშაკია.

ინსტიტუტის კედლებში სასწავლო პროცესი ერთიანი კოლექტიური შემოქმედებითი შრომაა.

ჯილდოს გადაცემასთან დაკავშირებით ამ დღეებში გაიმართა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაერთიანებული სხდომა; სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა ოთარ ჩხიკვაშვილმა და ინსტიტუტს სამუდამოდ გადასცა „ოქროდამავალი“ წითელი დროშა.

სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ო. ბუბუტეიშვილმა, საინსტიტუტო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებმა — ისტორიის ფაკულტეტის დეკანმა, დოცენტმა ო. ტაბუცაძემ, სკკპ ისტორიის კათედრის გამგემ, პროფესორმა მ. ჯიჯეიშვილმა, კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ნ. ჩხობაძემ.

გამოსულთა სიტყვებში ნათლად გამოიკვეთა აზრი, რომ კოლექტივის თითოეული წევრი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

ბ. ᲚᲝᲛᲗᲐᲫᲔ.

ᲐᲚᲘᲐᲠᲔᲑᲐ, ᲠᲬᲛᲔᲜᲐ, ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐ

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ XXVII ყრილობის დახურვისას წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა მოგვიწოდა, რომ მივაღწიოთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას. ეს კი თითოეული ჩვენგანისაგან მოითხოვს: ახალი ძლავრი სტიმულები მივცეთ საწარმოო ძალების ზრდას, ფართო გზა მივცეთ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, მთლიანად ავამოქმედოთ ჩვენი სახალხო მეურნეობის უზარმაზარი რეზერვები.

დაჩქარების მიღწევა ასევე გულისხმობს გავაღრმაოთ დემოკრატია, გავაფართოოთ საჯაროობა, სრული გასაქანი მივცეთ ყოველი შრომელის, ყოველი კოლექტივის ინიციატივასა და თვითმოქმედებას.

განვლილი ხუთწლედი ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისათვის განერალური რეკონსტრუქციის ხუთწლედი იყო. ძირეულმა გარდაქმნებმა, რომლებიც ქარხნის ძირითად საამქროებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით წარიმართა, კარგ სამეურნეო შედეგებთან ერთად შესაძლებელი გახადა ხარისხობრივი მაჩვენებლის მკვეთრი გაუმჯობესება. დღესისათვის ქარხნის მიერ წარმოებულ საერთო სასაქონლო პროდუქციაში ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილი 64,7 პროცენტს შეადგენს, რაც დარგში ერთ-ერთ საუკეთესო მაჩვენებლად ითვლება. ამავე დროს ქარხნის ცალკეული სახეობის პროდუქცია კონკურენტუნარიანია როგორც კავშირში, ასევე საზღვარგარეთ. საწარმოს კოლექტივის საბრძოლო ამოცანაა კონკურენტუნარიანი გახადოს მთელი წარმოებული პროდუქცია.

გათვალისწინებულ იქნა რა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით დანერგვისა და რეკონსტრუქციის შეუფერებელი წარმართვის თვალსაზრისით განსახორციელებელ სამუშაოთა მასშტაბები, მათი შესრულებისათვის ბრძოლა საამქრო პარტიულმა ორგანიზაციებმა. პარტიულმა კომიტეტებმა, ყველა კომუნისტმა უმთავრეს საზრუნავად გაიხადეს. ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა დირექციასთან ერთად შეიმუშავა კონკრეტული პროგრამა, რომლითაც თანმიმდევრულად განისაზღვრა ცალკეულ ღონისძიებათა შესრულების დრო, დაწესდა მისადამი პარტიული კონტროლი. კომუნისტები გადამწყვეტ უბნებზე გავაანწილეთ, შეკვმენით დამატებითი პარტიული ჯგუფები, მოწინავე მუშათა და სპეციალისტთა რიგებიდან გაიზარდა პარტიული ფენა, მშრომელთა აქტიურობის დონის ამაღლების მიზნით კარგ პრაქტიკად დამკვიდრდა საკვანძო საკითხების კოლექტივში განხილვა-განალიზება, ამით რეკონსტრუქციის ყველა სამუშაო პირველადი პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში მოექცა. მაგალითად, როცა ქარხნის მეოთხე საამქროში ღუმლების რეკონსტრუქცია დაიწყო, მისმა პარტიულმა ორგანიზაციამ, კომუნისტებმა გამოიჩინეს ინიციატივა — ყოველი რეკონსტრუირებული ღუმელი ვადაზე 4-5 დღით ადრე ჩაეყენებინათ მწყობრში. სიტყვა საქმედ იქცა. გაიზარდა საამქროში შრომის ნაყოფიერება, აგრეთვე ღუმლების მწარმოებლობა.

კომუნისტთა აქტიური მონაწილეობით შესრულდა დანარჩენი სამუშაოებიც, მძლავრი გაზგამწმენდი აგება მეოთხე საამქროში (დღესისთვის ქარხანაში დღე-ღამეში დაახლოებით 200 ტონა შლამსა და მტვერს უკეთდება უტილიზაცია, რაც კვლავ წარმოებას უბრუნდება). მესამე საამქროში დაბალხარისხიანი მადნების გამოყენებისთვის აიგო ეგრეთ წოდებული გრიგალური ღუმელები, მეხუთე საამქროში მწყობრში ჩადგა წიდების გადამუშავების პნევმოსეპარაციული უბანი და სხვ.

ტექნიკური პროგრესის ამ დიდმნიშვნელოვანმა სამუშაოებმა განაპირობა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების რადიკალური გაუმჯობესება, გადაიჭრა მავნე აირებისაგან ატმოსფეროს დაცვის პრობლემა. მნიშვნელოვნად შემცირდა ხელის შრომის ხვედრითი წილი და, რაც მთავარია, განხორციელდა სამუშაოები ქარხნის უნარჩენო წარმოებაზე გადაყვანისათვის, დღეისათვის ქარხანაში ხელახალ გადამუშავებას ექვემდებარება მეორეული ნედლეულის 87 პროცენტი, რის შედეგადაც მიღებული ეკონომიკური ეფექტი წლიურად საშუალოდ მილიონ 229 ათასი მანეთია.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზი, როგორც

ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲘᲗ, ᲗᲕᲘᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებითი დანერგვისათვის მიძღვნილ თათბირზე აღინიშნა, მეცნიერებაზე გადის. ამ მიზნით კიდევ უფრო საქმიანი და მიზნობრივი გახდა ჩვენი ქარხნის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტნიორობა. უფრო მეტიც, ერთობლივად განხორციელებული სამუშაო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია ინსტიტუტების და ქარხნის წამყვანი სპეციალისტების, კადრის მუშების, რაციონალიზატორ-გამომგონებლების მოსაზრებანი და წინადადებანი. პრაქტიკაში დამკვიდრდა ამ ორგანიზაციათა და ქარხნის პარტიული კომიტეტის ერთობლივი სხდომების მოწყობა.

საქმით დაინტერესებული ასობით კომუნისტი ჩაბმულია მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვაში. ქარხანაში განხორციელდა მთელი რიგი ტექნოლოგიური პროცესების დახვეწისა და დაბალხარისხიანი მანგანუმის მადნების გამოყენების სამუშაოები. გაუმჯობესდა აგლომერატის წარმოების ტექნოლოგიაც, სადაც გამოყენებულია ღარიბი მანგანუმის მადნები და საკუთარი წარმოების ნარჩენები. ამით შესაძლებლობა შეიქმნა მკვეთრად გაზრდილიყო ჭიათურის ღარიბი მადნების გამოყენება ფეროშენადნობთა წარმოებაში. ეს მეთოდი პირველად 1981 წელს გამოიყენეს, აქამდე კი ამ მადნების აქტიური ხარჯი 215.204 ტონას შეადგენს. განხორციელდა საცდელი სამუშაოები ჭიათურის დაბალი ხარისხის კარბონატული კონცენტრატის გამოწვა ვრავიტაციული გამდიდრების შემდეგ. მისი საშუალო ნახშირბადიანი ფერომანგანუმის წარმოებაში გამოსაყენებლად, რაც მთლიანად გამორიცხავს იმპორტული მადნების შეძენის აუცილებლობას და გამოათავისუფლებს 150 ტონა პირველი ხარისხის მადანს.

ქარხანაში ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებამ განაპირობა ხელმესახები სამეურნეო მაჩვენებლების მიღწევა. წარმოების მოცულობა

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ: ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

1981 წელს მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელთან შედარებით 18,2 პროცენტით გაიზარდა, ეს მაჩვენებელი თანდათან კიდევ უფრო უმჯობესდებოდა და შარშან 30,5 პროცენტი გახდა.

მეთორმეტე ხუთწლედში კვლავ ინტენსიურად უნდა გაგრძელდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვისა და რეკონსტრუქციო-მოდერნიზაციის სამუშაოები. ეს კი დიდი ამოცანების წინაშე აყენებს კომუნისტებს, ვინაიდან სწორედ ისინი უნდა იყვნენ მისი განხორციელების სული და გული.

საშუალო ნახშირბადიანი ფერომანგანუმის წარმოების გაზრდის მიზნით რეკონსტრუირდება და გაფართოვდება მეორე საამქრო. სარეკონსტრუქციო სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვა 24.660 ათას მანეთს შეადგენს. რეკონსტრუქციის პირველი ეტაპი უკვე დაიწყო, რომელიც დასრულდება 1989 წლისათვის. ამის შემდეგ საამქროში დამონტაჟებული გაზგამწმენდი მოწყობილობანი საშუალებას მოგვცემს საბოლოოდ აღვკვეთოთ ქარხნის მავნე აირებით ატმოსფეროს დაჭუჭყიანება.

მეხუთე საამქროში ძირითად და დამხმარე აგრეგატებს შორის დისპროპორციის აღმოსაფხვრელად რეკონსტრუირებული იქნება საკაზმე ეზო და ჩამოსასხმელი მანქანები.

მნიშვნელოვან სამშენებლო ობიექტად ითვლება ეგრეთ წოდებული რგოლისებრი ღუმლების მშენებლობა ტყიბულის სუსტად შეცხობადი ნახშირის თერმული დამუშავებისათვის. 110 ათასი ტონა წლიური მწარმოებლობით მიღებული პროდუქცია ნაწილობრივ შეცვლის დეფიციტურ კოქსსა და კვარციტს.

ყველა ამ და სხვა დაგეგმილ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ჩვენი საქმიანობა ძირითადად იმ მდიდარ გამოცდილებას დაეყრდნობა, რომელიც პარტიულმა კომიტეტმა, საამქრო პარტიულმა ორგანიზაციებმა გასულ ხუთწლედში შეიძინეს, ამავე დროს ეს პრაქტიკა განმტკიცდება ორგანიზატორულ-პარტიული მუშაობის იმ ახლებური ფორმებითა და მეთოდებით, რომლებზეც ლაპარაკი იყო საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე.

ჩვენი ქარხნის მშრომელები, კომუნისტები ძალასა და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა წარმატებით იშრომონ სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში თავიანთი კონკრეტული წვლილის შესატანად.

ნ. ᲚᲔᲚᲐᲫᲔ,
ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ ᲤᲔᲠᲝᲨᲔᲜᲐᲓᲜᲝᲑᲗᲐ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ.



ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲗᲔᲡᲐᲕᲔᲑᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘᲡ. ᲡᲐᲗᲔᲡᲘᲡ ᲐᲒᲠᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲨᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲛᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘᲡ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ. ᲛᲐᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲡᲢᲔᲡᲜᲝᲗ 150 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘ ᲨᲕᲠᲘᲐ, ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲛᲝᲛᲐᲪᲕᲔᲚᲔᲑᲚᲔᲑᲛᲐ ᲐᲙᲘᲡᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲐᲜ: სათესი აგრეგატები საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობის მინდორში; მოწინავე ტრაქტორისტი — შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერი რომან ვერაშვილი დღეში ორ-ორ ნორმას ასრულებს.

Ი. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲓᲐᲠᲘᲨᲮᲐᲜᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲐᲠᲔᲕᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ უვნებელი გახდა დარიშხანის წამლობა ახალი ტექნოლოგიის საშუალებით, რომელიც შეიმუშავეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერებმა.

ჩვენი რესპუბლიკა ნახევარგამტარების ტექნიკის, მზის ბატარეების დამზადებისათვის საჭირო დარიშხანის ძირითადი მიმწოდებელია. მდიდარ, თავისებურად უნიკალურ საბადოებს საქართველოს ტერიტორიაზე დიდი ხანია ამუშავებენ, მაგრამ ამიერიდან ამ ელემენტის ამოღების პროცესსა გამორიცხა შხამიან ნივთიერებათა გამოყოფასთან დაკავშირებული ეტაპები.

— პროდუქციის წარმოების ყველაზე სახიფათო სტადიაა ეგრეთ წოდებული თეთრი დარიშხანის მიღება, რომელიც ძანგვითი გამოწვით გამოიყოფა, —თქვა ნამუშევრის ერთ-ერთმა ავტორმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. რცხილაძემ. — ჩვენ ეს ეტაპი მთლიანად გამოვრიცხეთ: მადანი მოვთავსეთ თავისებურ მშრალ აბანოში — სპეციალურად დახურულ აპარატებში და თერმული წესით დაგშალეთ იგი. მადნის სახეობის მიხედვით მას ვუმატებთ რკინის ფხვნილს. ორივე შემთხვევაში ვიღებთ ტექნიკურად წმინდა დარიშხანას, რომელიც გამოიყენება მრეწველობის ბევრ დარგში. ჩვენი მუშაობის შემდეგი ეტაპი გახდა ზეწმინდა ელემენტის მიღება. სკკპ XXVII ყრილობის მიერ მიღებული ძირითადი მიმართულებებით გათვალისწინებულია ზეწმინდა მასალების ფართო გამოყენება ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შემუშავების დროს. ჩვენ შეძელით ზეწმინდა დარიშხანა მიგვეღო ბისმუთისა და ტყვიის შენადნობისაგან მისი დისტილაციით.

ახალმა ტექნოლოგიამ გაამართლა დანიშნულება: თითოეულ კილოგრამ მადანზე ეკონომიკურმა ეფექტმა 800 მანეთი შეადგინა. ქართველ მეცნიერთა გამოგონების ლიცენზია შეისყიდა ინდოეთის „მონიკა ენტერპრაისეზის“ ფირმამ.

(საკინფორმი).

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ ᲔᲫᲘᲔᲑᲡ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲡ

ᲛᲔᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲔᲚᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐᲡ უდიდესი რეზერვები აქვს, მაგრამ დრო მოითხოვს მათი ძიება და გამოყენება ყველა დონის ხელმძღვანელისა და თითოეული გამრჯე ადამიანის ყოველდღიური ფიქრის საგანი იყოს.

რეზერვების ძიებას მეტი მნიშვნელობა მიეცა იმიტომაც, რომ დღითი დღე ძნელდება და ძნელდება რესურსების მოპოვება.

ამდენად, საგულისხმოა, მაგალითად, ის, რომ ტონა ბაკულატურიდან შეიძლება დამზადდეს 25 ათასი ცალი რეიული, ხოლო ერთი ტონა ჯართი—ავტომანქანა „ᲫᲘᲒᲣᲚᲘ“ ან 25 ველოსიპედი.

ეს ლაკონიური ფრაზები სახალხო მეურნეობაში მეორეული რესურსების გამოყენების მოწინავე გამოცდილების მქონე საწარმოთა ეკონომიკური გაანგარიშებებიდან არის ამოღებული და ნათლად მოწმობს იმას, თუ რა სიკეთის მოტანა შეუძლია სანაგვეზე გადასაყრელად გამეტებული უბრალო ნარჩენებისადმი ყაირათიან დამოკიდებულებას.

ამ საქმის ბოლო ხანებში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიენიჭა. ხუთიოდი წელია, რაც სახალხო მეურნეობის კიბეზე გაჩნდა ახალი თავი „მეორეული რესურსების გამოყენება“, მაგრამ ამ საქმეში უკვე აქტიურად არის ჩაბმული რესპუბლიკის თითქმის ყველა სამინისტრო, უწყება და საწარმო.

მათი მეცადინეობის წყალობით შეგროვებული მეორეული ნედლეულისაგან შექმნილი პროდუქციის (სამშენებლო მასალები, ხალიჩები, ტრიკოტაჟის ნაწარმი, ძაფები, აღდგენილი მატყლი და სხვა) რეალიზაციამ წელიწადში 7 მილიონზე მეტ მანეთს მიაღწია, საიდანაც მოგება 3 მილიონ მანეთს შეადგენს.

მეთორმეტე ხუთწლედში ეს მაჩვენებლები ერთიორად უნდა გაიზარდოს. ამისათვის გათვალისწინებულია მეორეული ნედლეულის მიმღები პუნქტების, მიმღებ-დამამზადებელი საწარმოების მშენებლობა, რასაც 10 მილიონზე მეტი მანეთი მოხმარდება. ამით მნიშვნელოვნად გაფართოდება მოსახლეობაში მეორეული ნედლეულის შეგროვების განშტოებული ქსელი.

ერთი სიტყვით, მეორედ გამოსაყენებელი ნედლეულის მოსაპოვებლად განხორციელდება კომპლექსური ღონისძიებები. კიდევ უფრო გააქტიურდება რესპუბლიკის ქალაქების საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენების გაშოყნება.

ამ მხრივ თბილისში ბოლო ხანს ბევრი რამ გაკეთდა.

კიროვის რაიონსა და გლდანში აშენდა საყოფაცხოვრებო ნარჩენების საწვავი და გადამუშავებელი ქარხნები. პირველი წელიწადში წვავს 200 ათას ტონა ნაგავს და იძლევა ასობით ტონა ლითონსა და წიდას, ხოლო მეორეში ბიოთერმულად მუშავდება 250 ათასი ტონა ნარჩენი, საიდანაც ასობით ტონა ლითონი და 60 ათასი ტონა კომპოსტი მიიღება სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებლად. ეს პროდუქცია, მართალია, ჯერჯერობით საგეგმო მოცულობის 2 პროცენტიც არ არის, მაგრამ მთავარია ის, რომ მეორეული ნედლეულის შეგროვებისა და გამოყენების პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი სწორი გზა მიგნებულია.

სწორი გზის პოვნა კი არც ისე ადვილია. წარმოების მუშაკებს ლამის გული უჩუყდებათ.

— ჩვენ ჩინებული ურთიერთობა გვაქვს, — მითხრა პლასტმასის ქარხნის დირექტორმა გ. ბოჟორიშვილმა. — როცა ველზე პლასტმასის ქარხანა ვაშენებდით, პირველყამირელებივით ვცხოვრობდით, არავითარი — „ეს მე არ მევალება, თვითონ გააკეთეო“.

მეცნიერებისათვის წარმოება მაგნიტია: ლაბორატორიის მუშაობის ორგანიზაცია მისკენ მიმართავს თავის ყველა ისარს. მეცნიერთა მაგალითისამებრ ამუშავდნენ პრაქტიკოსებიც. საჭირო გახდა მეღორეობის კომპლექსში აეშენებინათ საექსპერიმენტო საამქრო. ახალი საკვების დანამატები ეწარმოებინათ იქ. ლაბორატორიამ ხელშეკრულება დადო ადგილობრივი საკვების საამქროს უფროსთან. დაუნიშნეს ინჟინრის დამატებინი ხელფასი (პრემია — სამუშაოს დამთავრების შემდეგ). მან ყველა შესაძლებლობა გამოიყენა, ყოველი მიგდებული რკინა, რამდენიმე კვირის შემდეგ საამქრო სრული სიმძლავრით ამუშავდა. ლაბორატორიას საპროექტო ინსტიტუტისათვის ან სამრეწველო ორგანიზაციისათვის რომ მიემართა, საქმე მთელი წლით გაჭიანურდებოდა და ათი ათასამდე მანეთი დაჯდებოდა. აქ კი ორ-ნახევარი ათასი დაუჯდათ.

ასეთივე ურთიერთგაგებაა დანერგვის სხვა ობიექტებზეც — გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკაში, „თბილისრძის“ გაერთიანებაში, და ასეთივე აშკარა შედეგებია მეცნიერებთან ერთობლივ მუშაობაში.

მაგრამ ჩვენ ჯერ მთავარი არ გვითქვამს. რომ დანერგვის დამთავრებიდან სამი წლის მანძილზე წარმოება მეცნიერებს ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქალაქების სხვადასხვა ნარჩენი საარგებლო წიაღისეულის თავისებური „საბადოა“ და იგი მრეწველობის კომპლექსური მეორეული ნედლეული უნდა გახდეს, სოფლის მეურნეობას კი ხელი შეუწყოს მიწის ოაღიანობის მომატებაში.

ეს დიდმნიშვნელოვანი ამოცანა ჯერჯერობით გადაწყვეტის სტადიაშია, რადგან, როგორც გლდანის ნარჩენების დადამმუშავებელმა, ისე ქიროვის რაიონის ნაგავის საწვავმა ქარხნებმა ესენი ერთ-ერთ ამდენ ნარჩენს, რომლის 34 პროცენტია ბაკულატურა, 40 — გადაყრილი საშენელი, 2 — ლითონი, 2 — პლასტმასა, 3 — მინა, 2 — ძვალი, 5 პროცენტი ტრიკოტაჟი და სხვა ნედლეული.

ამ მატერიალური რესურსების გამოსაყენებლად და გარემოს დასაცავად მეთორმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია ღონისძიებების განხორციელება, რის წყალობითაც სამჯერ მეტი საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენები გადამუშავდება.

— თბილისის შიმოგარენში სანაგვეები და მით უმეტეს იმ სახით, როგორც დღეს არის, შეუფერებელია თანამედროვე ცივილიზებული ქალაქისათვის, — გვითხრა საქსახმომარაგების თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გ. ადდუშელიშვილმა, — უწინარესად იმიტომ, რომ ცდება სასარგებლო სავარგულები. ამასთან გამოუყენებელი რჩება დიდძალი ნედლეული, რომლის სახალხო მეურნეობაში შემობრუნება ბევრ პირველად ნედლეულს დაგვიზოგავდა. ამ სიმდიდრისათვის გვერდს ავლა შეუწყნარებელია, რადგან მეორეული რესურსები უკვე ადამიანის შრომას შეიცავენ და ამიტომაც საზოგადოება ვალდებულია გაუფრთხილდეს მას. ამ ნედლეულის შეგროვების სხვადასხვა ხერხი არსებობს. ავიღოთ, მაგალითად, ნაგვის საწვავი ქარხნები. ისინი კვამლის გაზებით, ზოგჯერ ტოქსიკურითაც, ატმოსფეროს აჭუჭყიანებენ: გარდა ამისა, ეს ქარხანა, ისევე როგორც სხვა ანალოგიური ქარხნები, წამგებიანია. ნაგვის გადამმუშავებელი ქარხანა კი, რომელიც გლდანშია და კომპოსტს ამზადებს, შედარებით რაციონალურია, მაგრამ სერიოზული ნაკლიც აქვს: მზა კომპოსტი მნიშვნელოვან ფათრობს იკავებს; მძიმე ფერადი ლითონი, რომელსაც კომპოსტი შეიცავს, ნიადაგს აჭუჭყიანებს და პროდუქტებშიც ხვდება. ამასთან, სასუქად კომპოსტის გამოყენებით საექსპლოატაციო ხარჯების მხოლოდ 75 პროცენტი ნაზღაურდება.

ამდენად, დღის წესრიგში დგება თბილისში ნაგვის გადამმუშავებელი ქარხნების კონცენტრაციის და ახალი — ქალაქის ნარჩენების კომპლექსური სტილიზაციის ქარხნის მშენებლობის საკითხი.

საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან საჭირო კომპონენტების უტილიზაციის კომპლექსური ქარხნის უპირატესობა ის არის, რომ სახალხო მეურნეობას უბრუნებს მეორეულ ნედლეულს. ამგვარ ქარხანას თბილისის პირობებში შეუძლია ყოველწლიურად მოგვაცეს 15 ათასი ტონა შავი ლითონი, 3 ათასი — ფერადი ლითონი, 26 ათასი — მინის ნალეწი, 220 ათასი— მაკულატურა, 12 ათასი —პოლიეთილენი, 15 ათასი ტონა საკვების ნარჩენები და სხვ. დანარჩენი (50 პროცენტი) ნარჩენი პიროლიზის მეთოდით გადამუშავდება, რის შედეგადაც გამოყოფილი ორთქლის გამოყენება შეიძლება გათბობის სისტემაში და ელექტროენერგიის მისაღებად.

რესპუბლიკაში დიდი შეშაობა გასაწევი მეორეული ნედლეულის ჯერ კიდევ ხელუხლებელი მნიშვნელოვანი ნაწილის სახალხო მეურნეობაში დასაბრუნებლად. ამისათვის უფრო უნდა გააქტიურდნენ მოძრავი მიმღები პუნქტები — ბორბლებზე შემდგარი ვაგონები მოსახლეობისათვის მოხერხებულ ადგილებში — მაღაზიებთან, სკოლებთან, საცხოვრებელი მიკრორაიონების ცენტრებში.

ეს ხელს შეუწყობს ყოველგვარი ნარჩენის, ძველმანის და ჯართის დროულ შეგროვებას და გადამუშავებისთვის ჩაბარებას, რაც დიდძალ ძირითად ნედლეულს, ადამიანის შრომასა და ელექტროენერგიას დაზოგავს.

Ვ. ᲙᲐᲡᲠᲐᲫᲔ.

ინფორმაციის ერროვნული ბიბლიოთეკა
ფაქტები • მოვლენები

საზღვრის კომუნისტთა დიდი ამოცანები

სამოგზაურო შეიარაღებულ დამცველთა მთავარი ამოცანაა საქმით შეუწყონ ხელი ქვეყნის კომუნისტთა ფორუმის გადაწყვეტილებების განხორციელებას. მისი შესრულება მოითხოვს, რომ საზღვრის თითოეულმა კომუნისტმა, თითოეულმა გუშაგმა კიდევ უფრო გააუმჯობესოს მუშაობა, იმოქმედოს ენერგიულად, გამოიჩინოს დიდი ორგანიზებულობა, პასუხისმგებლობა, დისციპლინა, აღინიშნა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პარტიული აქტივის თბილისში გამართულ კრებაზე. კრების მონაწილეებმა განიხილეს სკკპ XXVII ყრილობის შედეგები და მის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ოლქის მეთაურების, პოლიტმუშაკების, პარტიული ორგანიზაციების ამოცანები.

მოხსენება გააკეთა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა გ. ა. ზგერსკიმ.

კრებაზე გამოვიდა ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი გ. ა. კუცი.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ შესაზღვრეებს ღრმად ესმით თავიანთი სამსახურის მთელი პასუხისმგებლობა და ემდლეიერებიან პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს იმის გამო, რომ ყრილობაზე მაღალი შეფასება მისცეს მათს საქმიანობას. იმისათვის, რომ ვიმუშაოთ ყრილობის მოთხოვნების სულისკვეთებით, საჭიროა მეტი სიმტკიცე და თავდადება დასახული მიზნების მიღწევაში, უარი ვთქვათ ყოველივე დრომოქმულზე, ინერციასა და თვითდამშვიდებაზე, ჩვეულ, მაგრამ უკვე უსარგებლო სქემებსა და მიდგომაზე. დღეს მთავარია კონკრეტული, საგნობრივი მუშაობა, სიტყვისა და საქმის ერთიანობა.

კრებაზე სერიოზული ყურადღება მიეპყრო ჯარებში მთელი ორგანოტორული მუშაობისადმი პარტიული კონტროლის გაძლიერებას. საჭიროა კიდევ უფრო სისტემური და გეგმაზომიერი მიდგომა იმისადმი, რომ მეთაურებს, პოლიტმუშაკებს, პარტიულ და კომკავშირულ აქტივს შეეთვისოთ მუშაობის ეფექტიანი ფორმები და შეთოდები, გავზარდოთ მომთხოვნელობა ყველასადმი და ყველა დონეზე.

კრებამ მიიღო რეზოლუცია განხილულ საკითხზე.

კრების მუშაობაში მონაწილეობდა სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების უფროსის მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი ვ. ი. შიშლოვი. (საქინფორმი).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:

სპორტი მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ოთხმოცდახუთ წელთან დაკავშირებით ამხ. იოსებ ივანეს ძე **ჩოდრიშვილი** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.

ხანგრძლივი ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის და დაბადების ყამოც წელთან დაკავშირებით თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ამხ. მიხეილ სიმონის ძე **ოფე** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ამხ. გიორგი დმიტრის ძე **კოსოკაკი** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.

გზა გადავულოზოთ ბირთვულ ომს!

საბჭოთა კავშირი მოითხოვს გამალებული შეიარაღების ალაგმვას, საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნას, მშვიდობისა და განვითარების პრობლემათა გადაჭრას, იმას, რომ გზა გადაულობონ ბირთვულ ომს, მოუწოდებს სხვებს პასუხისმგებლური პოლიტიკისათვის, გმობს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ, პროვოკაციულ, ნეოგლობალისტურ პოლიტიკას, რომელიც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას. ეს აზრი ხაზგასმულია ფართო საერთაშორისო გამოხმაურებებში საბჭოთა კავშირალეონირის მოლაპარაკების, იმ სიტყვების გამო, რომლებიც კრემლში გამართულ სადილზე წარმოთქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა და ალეირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ეროვნული განთავისუფლების ფრონტის გენერალურმა მდივანმა შადლი ბენჯედიდმა. მსოფლიოში დიდი გამოხმაურება პოვეს ახალმა საბჭოთა საშვიდობო ინიციატივებმა.

ალეირი. საბჭოთა კავშირ-ალეირის მოლაპარაკებამ, კრემლში წარმოთქმულმა სიტყვებმა უდიდესი ინტერესი გამოიწვიეს ალეირში. საბჭოთა კავშირი დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირ-ალეირის თანასწორუფლებიან და ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას ფართო ჰორიზონტები აქვს, წერს გაზეთი **„ელ-მუჯაჰიდი“**. მომენტში, როცა საერთაშორისო ვითარება დიდ შეშფოთებას იწვევს, ხოლო დაძაბულობის კერები კი არ ქრება, პირიქით, ფართოვდება, რასაც მოწმობს ხმელთაშუა ზღვაში მიმდინარე ამბები, საჭიროა, რომ ორივე ქვეყანამ, საბჭოთა კავშირმა თვალსაზრისები მრავალ საკითხში ერთმანეთს ემთხვეოდეს, უმთავრესი მეცადინეობა მოახმარონ სრული დეკოლონიზაციის, ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესის დამყარების, განიარაღების, უშიშროების, ქვეყნად მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნების მიღწევას.

საბჭოთა კავშირი, აღნიშნავს ალეირის მეორე გაზეთი **„აშ-შაბი“**, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მიუმხრობლობის მოძრაობის პოზიციებს, რომელშიც ალეირს თვალსაჩინო ადგილი უკავია და მიაჩნია, რომ იგი სულ უფრო დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს მსოფლიო პოლიტიკაში. მრავალი საერთაშორისო პრობლემის გადაწყვეტისადმი სსრ კავშირისა და ალეირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მიდგომის სიახლოვე ან დამთხვევა, ხაზს უსვამს ალეირის პრესის სააგენტო, ლოგიკურად გამომდინარეობს მათი მეგობრობიდან, ურთიერთგაგებიდან. ალეირი მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა კონსტრუქციულ ინიციატივებს განიარაღების დარგში.

ტრიპოლი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის სიტყვაში ჩამოყალიბებულმა სსრ კავშირის პოზიციამ ნიღაბი ახადა ამერიკის იმპერიალიზმის ავაზაკურ აგრესიულ პოლიტიკას, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობას მთელ მსოფლიოში, განაცხადა ლიბიის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში **რაჯაბ აზ-ზარუქმა.** ვაშინგტონი პროვოკაციულად „უჩვენებს სამხედრო კუნთებს“ მთელ მსოფლიოს — ხმელთაშუა ზღვაში, კორეის ნახევარკუნძულზე, ინდოეთის ოკეანეში. იგი ემუქრება ყველა განვითარებადი ქვეყნის, განსაკუთრებით პატარა ქვეყნების ხალხებს, რომლებიც დამოუკიდებელ პოლიტიკას ახორციელებენ და ცხოვრების თავიანთი შეხედულებისამებრ აშენებენ.

დამასკო. მოსკოვში, იტყობინება სირიის **სან ას სააგენტო**, განაცხადეს, რომ დამოუკიდებელი და სუვერენული ლიბიის წინააღმდეგ ამერიკის იარაღის გამოყენებამ გამოაშკარავა, ამერიკის შეერთებული შტატების ნეოგლობალისტური პოლიტიკის იმპერიული, ავაზაკური სახე. საბჭოთა კავშირი სოლიდარობას უცხადებს ლიბიელ ხალხს, რომელიც იმპერიალისტური ხელყოფისაგან იცავს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წმიდათაწმიდა უფლებას.

საბჭოთა ხელმძღვანელმა, იტყობინება ამერიკის **იუნაიტედ პრეს ინტერნეშლის საინფორმაციო სააგენტო**, ხმელთაშუა ზღვის მშვიდობის ზონად გადაქცევის შესახებ წინანდელ საბჭოთა წინადადებებში შეიტანა ახალი მოწოდება ამ ზღვიდან გამოიყვანონ ამერიკული და საბჭოთა ხომალდები. საბჭოთა კავშირმა მხარი დაუჭირა ლიბიას, წერს **„ნიუ-იორკ ტაიმსი“**. საბჭოთა ხელმძღვანელმა დაგმო ლიბიის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული აქცია. მოსკოვის იმ განცხადების შემდეგ, რომ ამ აქციას შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს, რომლებიც შორს გასცდება მის ფარგლებს.

პარიზი. ხმელთაშუა ზღვიდან ამერიკისა და საბჭოთა ფლოტების გაყვანისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებისა და ამ რაიონის მიმდებარე სახელმწიფოების, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა დაინტერესებული ქვეყნების ფართო თათბირის მოწვევის შესახებ საბჭოთა წინადადება, ხაზს უსვამს ფრანგული **„ლიბერასიონი“**, — მოწმობს გონიერებას, რასაც ვერ ვიტყვით რეიგანის კურსის შესახებ, რომელიც თავისი სამხედრო ძალის დემონსტრაციით უშედეგოდ ცდილობდა მიეჩქმალა, რომ ჩაიფუშა მისი პოლიტიკა.

ვარშავა. როგორც მ. ს. გორბაჩოვმა განაცხადა, წერს პოლონური **„ტრიბუნა ლუდუ“**, ზოგადსაკაცობრიო პრობლემათაგან მთავარი, რა თქმა უნდა ის არის, რომ ბირთვულ ომს გზა უნდა გადაეღობოთ. საბჭოთა კავშირი მოუწოდებს სხვებს პასუხისმგებლური პოლიტიკისათვის, იმისათვის, რომ უარი თქვან ძალის პოლიტიკის სარისკო თამაშზე, სამხედრო უპირატესობის აჩრდილის უგუნურ გამოდევნებაზე. სკკპ XXVII ყრილობაზე წამოაყენეს საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის კონცეფცია. საბჭოთა კავშირი დარწმუნებულია, რომ ასეთი სისტემის შექმნით დაინტერესებულია ყველა სახელმწიფო, როგორიც უნდა იყოს მათი იდეოლოგიური ორიენტირები და პოტენციალი.

● აშშ

საჭიროა გონივრული არჩევანი

ლია ფერილი ამერიკის პრეზიდენტს

ვაშინგტონი. „დაუყონებლივ შეწყვიტეთ ბირთვული აფეთქებები და შეუერთდით სსრ კავშირის მიერ ცალმხრივი წესით გამოცხადებულ მორატორიუმს — ამ მოწოდებით მიმართა პრეზიდენტ რეიგანს ამერიკის შეერთებული შტატების 160-ზე მეტმა თვალსაჩინო რელიგიურმა მოღვაწემ.

ვაშინგტონის ადმინისტრაციის მეთაურისათვის გაგზავნილ ღია წერილში ისინი აღნიშნავენ, რომ ახლა დადგა ისტორიული მომენტი, რომელმაც შეიძლება შეცვალოს მსოფლიოს ბედი. საჭიროა ყველა ამერიკული ბირთვული გამოცდის დაუყონებლივ შეწყვეტა. „ჩვენ გზაჯვარედინზე ვდგავართ, — ნათქვამია წერილში, — ერთ გზას ბირთვული არმაგედონის ჩიხში მივყავართ, მეორეს — უბირთვულიარაღო მშვიდობიანი მერმისისაკენ, მსოფლიოს ყველა ხალხის აყვავებისაკენ“.

როგორც რელიგიურ-საზოგადოებრივი ორგანიზაციის — საზოგადოების სამსახურში მყოფ ამერიკელ მეგობართა კომიტეტის აღმასრულებელმა მდივანმა ე. ბენტემა განაცხადა პრესკონფერენციაზე, რომელზეც წაიკითხეს წერილის ტექსტი, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოწყობილი მიწისქვეშა ბირთვული გამოცდა „პროვოკაციულია“. ნევადის უდაბნოში მდებარე პოლიგონზე ბირთვულმა აფეთქებამ სერიოზულად შეასუსტა ბირთვული გამოცდების სრული და საყოველთაო აკრძალვის შესახებ შეთანხმების შემუშავების შესაძლებლობის შანსი, აღნიშნა პრესკონფერენციის მეორე მონაწილემ მ. ნატლიმ. ახლა შექმნილი ისტორიული შესაძლებლობა შეიძლება ხელიდან გაგვისხლტეს ახალი იარაღის, მათ შორის „ვარსკვლავეთის ომებისათვის“ საჭირო იარაღის შექმნის გეგმების გამო.

მომავალი საუკუნის დამდეგისათვის ბირთვული შეიარაღების სრული ლიკვიდაცია — აი მიზანი, რომელსაც უნდა ვესწრაფვოდეთ, განაცხადა საზოგადოების სამსახურში მყოფ ამერიკელ მეგობართა კომიტეტის თავმჯდომარემ ს. კერიმ.

უკანასკნელ საათს

◆ **ვაშინგტონი.** როგორც გაზეთ **„ვაშინგტონ პოსტისათვის“** რეიგანის ადმინისტრაციის ინფორმირებული წარმომადგენლებისაგან გახდა ცნობილი, შეერთებული შტატები აპირებს უახლოეს დღეებში მოაწყოს მორიგი მიწისქვეშა ბირთვული გამოცდა ნევადის შტატის პოლიგონზე. ოღონდ, წერს გაზეთი, ბოლოკვეესია, როდის მოეწყობა ეს გამოცდა — 31 მარტამდე თუ შემდეგ.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XVII ყრილობა

პრაღა. შემოქმედებითს, საქმიან ატმოსფეროში გრძელდება ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XVII ყრილობის მუშაობა. აქ მიმდინარეობს დისკუსია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენებისა და ყრილობის სხვა დოკუმენტების გამო.

სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ლენარტმა აღნიშნა, რომ ქვეყნის სამრეწველო წარმოებაში სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წილი წელს შეადგენს 30,2 პროცენტს, სოფლის მეურნეობაში — 32,2 პროცენტს, ეროვნული შემოსავლის ჩამოყალიბებაში — 30,3 პროცენტს. სლოვაკიის პროგრესი ხალხის თავდადებული შრომის, ჩეხი მუშათა კლასის ამხანაგური დახმარების, სსრ კავშირის თანამშრომლობისა და მხარდაჭერის შედეგია. ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელების მეოხებით მიღწეულია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, ხოლო მის შემადგენლობაში — სლოვაკიის ისეთი განვითარება, ჩვენი ხალხების ურთიერთობის ისეთი დონე, ერთიანობის ისეთი საფფუძური, რომ სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ, ხაზი გაუსვა იმას, რომ ეკონომიკის ინტენსიფიკაციაზე გადასვლა უნდა ითვალისწინებდეს კადრების იდეოლოგიურ და ფსიქოლოგიურ გარდაქმნას, მიზანმიმართულ პოლიტიკურ მუშაობას იმ მიზნით, რომ დროულად და ეფექტიანად ვიყენებდეთ მსოფლიო მეცნიერებისა და ტექნიკის უმაღლეს მიღწევებს.

ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიის კომენსტრები ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, განაცხადა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა მ. ვაცლავიკმა, რომ არმია მუდამ საბრძოლოდ იყოს მზად. ამას ხელს უწყობს მეთაურებისა და პოლიტმუშაკების ხელმძღვანელი და ორგანიზატორული მუშაობის განუწყვეტელი სრულყოფა. მინისტრმა აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმია წარმატებით თანამშრომლობს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მომმე არმიებთან, და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა არმიასთან.

ჩეხოსლოვაკიის მშრომელები მიესალმებიან პარტიის ზრუნვას მოქალაქეთა ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებისათვის, სოციალური და საარსებო გარანტიების განმტკიცებისათვის, აღნიშნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ კ. ჰოფმანმა. ქვეყნის პროფკავშირები მოლიანად უჭერენ მხარს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ წამოყენებულ ამოცანას — უზრუნველყონ ეროვნული შემოსავლის სულ ცოტა 3,5 პროცენტით ყოველწლიური ზრდა — და ყოველ ღონეს იხმარენ, რათა შეასრულონ იგი მატერიალური და ენერგეტიკული დანახარჯების შემცირებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის გამიზნული სოციალისტური შეჯიბრების გაშლის გზით.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პრაღის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. კაპეკმა გააკრიტიკა ფორმალიზმი პარტიული სწავლების ორგანიზაციაში, რომელსაც ხშირად აკლია მთავარი რამ — ცოდნის დონის ნამდვილი ამაღლება, შუშაობაში მისი შემოქმედების გამოყენების უნარი. კონკრეტული კრიტიკა, თქვა მან, კი არ ასუსტებს კომუნისტების ერთიანობას, პირიქით, ნაკლოვანებათა აღმოფხვრას იწვევს.

სოციალისტური შრომის გმირმა პრაღის „ჩკდ“ ქარხნის მსხმელმა ფ. კუბიშმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მუშური პროფესიების ავტორიტეტის ამაღლებს, მუშათა ცვლის მომზადების საკითხებს. ახალი პასუხსაგები ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საწინდარია მშრომელთა ფართო მასების აქტიურობის გაძლიერება, — მუდმივი ყურადღება მათი პრობლემებისადმი, საჭიროებებისადმი, აზრისადმი. სწორედ ეს არის კომუნისტური პარტიის ძალისა და ავტორიტეტის წყარო, პარტიისა, რომლის წევრებიც უნდა გამოიჩეოდნენ თავმდაბლობითა და პატიოსნებით, სიტყვისა და საქმის ერთიანობით. ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასი მთლიანად უჭერს მხარს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პოლიტიკას და ძალ-ღონეს არ დაიშურებს ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

● საფრანგეთი

შუალედური გადაწყვეტილება

პარიზი. საფრანგეთის პრესის ცნობებით თუ ვიმსჯელებთ, **პრეზიდენტ ფ. მიტერანსა და პრემიერ-მინისტრ ჟ. შირაკს შორის ურთიერთობაში მემარჯვენე ძალთა ახალი მთავრობის არსებობის პირველსავე დღეებში მზარდი დაძაბულობა წარმოიშვა.** თითოეული მათგანი თავის პრეროგატივებს იცავს, როგორც ეს მას ეხმის, და თავისი გავლენის გაფართოებას ცდილობს. ამ მეტოქეობის დადასტურება გახდა ჟ. შირაკის მიერ მიღებული და ოფიციალურად გამოცხადებული განზრახვა ფ. მიტერანთან ერთად მონაწილეობა მიიღოს შვიდი დიდი კაპიტალისტური ქვეყნის ხელმძღვანელთა ტრადიციულ თათბირში, რომელიც ამა წლის მაისში ტოკიოში გაიმართება.

ეს გადაწყვეტილება უპრეცედენტოა. დღემდე „დიდი შვიდეულის“ შეხვედრებში საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი არ მონაწილეობდა. ქვეყანას წარმომადგენლობდა პრეზიდენტი, რომელსაც თან ახლდა ორი მინისტრი. თუ მეხუთე რესპუბლიკის მთელი ისტორიის მანძილზე, ესე იგი თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში, მთავრობის მეთაურები საგარეო პოლიტიკის სფეროს უცვლელად და მთლიანად სახელმწიფოს მეთაურს ანდობდნენ, ახლა, როგორც ჩანს, ვითარება ძირფესვიანად იცვლება. როგორც პარიზის „მონდი“ წერს, ჟ. შირაკი სრულიად აშკარად ეკრება წინათ „ნაკრძალ“ სფეროში.

ფოტოინფორმაცია

ავღანეთის სადაგი დღეები

● **ავღანეთის** სახალხო-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით ქვეყანაში გრძელდება სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების პროცესი. გარდაქმნა სდება ყველგან — დიდ ქალაქებშიც და ყველაზე შორეულ სოფლებშიც. ეს პროცესი უფრო სწრაფი იქნებოდა, იმპერიალიზმი შეიარაღებულ აგრესიას რომ არ ახორციელებდეს, რომელიც დამსობილ ექსპლოატატორულ კლასებზე დაყრდნობით ცდილობს ჩაახშოს ავღანეთის რევოლუცია. მაგრამ ვერაფერი. ძალა ვერ აიძულებს ხალხს, რომელმაც თავისუფლება მოიპოვა, გადაუხვიოს არჩეულ გზას. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები, სახალხო მილიცია, რევოლუციის დამცველთა რაზმები სულ უფრო საგრძნობ დარტყმებს აყენებენ თავიანთი სამშობლოს მტრებს. ავღანელი ხალხი მზად არის ბოლომდე მიიყვანოს ახალი საზოგადოების მშენებლობის საქმე.

სურათებზე: რევოლუციის ახალგაზრდა დამცველები გიმოქმედის პროვინციიდან; ქვეყნის ქაბულის ერთ-ერთი ქუჩა.

საქინფორმის ფოტო.

● პაკისტანი

აფრიდის ტომი არ დაჭრის იარაღს

ქაბული. კვლავ დაძაბული ვითარებაა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსაზღვრე პაკისტანის რაიონში. **როგორც ბახთარის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, კურამის რაიონში პუშტუნთა ტომების რაზმების საბრძოლო ოპერაციების შედეგად მოსპეს ავღანელ კონტრრევოლუციონერთა ბანდების შვიდი ავტომობილი. პუშტუნებმა ცეცხლი დაუშინეს აგრეთვე „ჰეზბე ისლამის“ დაჯგუფების ორი მეთაურის რეზიდენციებს.**

ჰაიბერის რაიონში გაიმართა აფრიდის ტომის ჯირგა. მასზე გამოვიდა ტომის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჰაჯი გულიშაჰ კუკიჰეილი. მან ხაზი გაუსვა, რომ პუშტუნთა წინააღმდეგ რეპრესიები, პაკისტანის სხვადასხვა ქალაქში სახალხო გამოსვლების ჩახშობა, ყარაჩის ნავსადგურში ამერიკის სამხედრო ხომალდების შესვლა ერთი ჯაჭვის რგოლებია. ბოლო დროს სამხედრო ხელისუფლებმა შეიპყრეს აფრიდის ტომის ზოგიერთი ბელადი და უხუცესი. ასეთი დამსჯელი ღონისძიებებით ცდილობს ისლამაბადი ბრძოლა შეაწყვეტინოს პუშტუნებს. მაგრამ ეს ავბედითი გეგმები განწირულია — აფრიდის ტომი არ დაყრის იარაღს, განაცხადა მან.

რეპრესიებთან ერთად სამხედრო რეჟიმი ბოლო დროს მიმართავს სხვა მეთოდებსაც, რომელთა მეოხებითაც იმედოვნებს ტომების ზონაში წინააღმდეგობის მოძრაობის ლიკვიდაციას. მაგალითად, ახლახან, იუწყება ბახთარი, პაკისტანის დაზვერვამ ჩრდილოეთ ვაზირისტანში გაგზავნა კონტრრევოლუციონერთა ჯგუფი ვინმე ახდულ ჰალიმის ხელმძღვანელობით. ბანდიტები შეეცადნენ პროვოკაციულად გამოეწვიათ შეტაკება ვაზირის ტომის ცალკეულ კლანებს შორის, მაგრამ პუშტუნებმა გამოაშკარავეს რეჟიმის დაქირავებულნი და დაატოვებინეს ვაზირისტანი.

მოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან

დაგმეს ამერიკის აგრესია

● **ტუნისი.** „აქ დამოავრდა არაბული ქვეყნების ლიგის საბჭოს სხენა. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ლიგის წევრი არაბული სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრები, აგრეთვე პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის დელეგაცია. ლიგის საბჭომ დაგმო ამერიკის აგრესია ლიბიის წინააღმდეგ და სოლიდარობა გამოუცხადა მის ხალხს. მთ მოითხოვეს შეერთებული შტატების პროვოკაციული აქციების დაუყოვნებლივ შეწყვეტა.

პრეზიდენტის განკარგულება

● **ბრაზილია.** „პრეზიდენტ ჟოზე სარნეიას განკარგულებით ბრაზილია აუქმებს პოლიტიკურ, დიპლომატიურ და სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირურთიერთობას ჩილესთან, სანამ პოლიტიკური ასპარეზს არ დატოვებს პინოჩეტი. კერძოდ, აიკრძალა სამხედრო ტექნიკის მიწოდება ჩილესთვის, სადაც სამხედრო რეჟიმის მმართველობის წლებში ადგილობრივი სამხედრო მრეწველობის დიდძალი პროდუქცია იგზავნებოდა.

აიკრძალა ნეოფაშისტთა თავყრილობა

● **ბონი.** ზონდელფინგენის თემის საბჭომ ნეოფაშისტურ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას აუკრძალა მორიგი თავყრილობის მოწყობა. საბჭოს დეპუტატებმა განაცხადეს, რომ ზონდელფინგენის ტერიტორიაზე ამგვარი თავყრილობანი აღარასოდეს გაიმართება. ეს სამართლიანი გადაწყვეტილება, რომელიც გამოხატავს დასავლეთ გერმანიის დემოკრატიული საზოგადოებრიობის შეშფოთებას ნეონაცისტთა გააქტიურების გამო, მიიღეს მსხვილი კაპიტალის პარტიის აქტიური წინააღმდეგობის მიუხედავად.

● საბერძნეთი-აშშ

ვაშინგტონის აშკარა ზეგავლენა

ათენი. საბერძნეთის მიწაწყალზე ამერიკის ბაზების საკითხს მთავარი ადგილი უკავია აქ ვიზიტად ჩამოსული ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯ. შულცისა და საბერძნეთის ხელმძღვანელთა მოლაპარაკებაზე.

ათენმა არაერთგზის განაცხადა, რომ აპირებს ქვეყანას მოაშოროს უცხოეთის ბაზები. მათი სტატუსი ახლა განისაზღვრება ეკონომიკისა და თავდაცვის დარგში თანამშრომლობის შესახებ საბერძნეთ-ამერიკის შეთანხმების, რომელსაც მოქმედების ვადა გაუდის 1988 წელს. საბერძნეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის სურვილის საწინააღმდეგოდ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს განუსაზღვრელი დროით გაახანგრძლივოს შეთანხმების ვადა.

ვიზიტის დროს, აღნიშნავს ადგილობრივი პრესა, ოკეანესგაღმელმა სტუმარმა მიმართა საბერძნეთზე აშკარა ზეგავლენას. გამოიყენა რა ქვეყნის ეკონომიკური სიძნელეები, მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დახმარებას გაუწევს, თუ საბერძნეთი დაუთმობს მას ბაზების საკითხში. საბერძნეთის სამაგიეროდ, წერს ლონდონის „ჰაინენშლ ტაიმსი“, გაუფართოვდება ამერიკის კაპიტალდაბანდებანი, ქვეყანაში გაიზრდება ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოსული ტურისტების ნაკადი.

ჯ. შულცის ვიზიტმა პროტესტების ნამდვილი ქარიშხალი გამოიწვია საბერძნეთში. დაახლოებით 20 ათასი მანიფესტანტი შეიკრიბა საბერძნეთის პარლამენტის შენობის წინ და ერთხმად გაიძახოდა: „მოგვაშორეთ სიკვდილის ბაზები“, „ხელები შორს ლიბიისაგან“, „არ გვინდა ნატო!“. რამდენიმე ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა საბერძნეთის სიდიდით მეორე ქალაქ სალონიკში ამერიკის საკონსულოს შენობის წინ გამართულ მანიფესტაციაში. მთელ რიგ ადგილებში მოხდა დემონსტრანტების შეტაკება პოლიციასთან, არიან დაჭრილები; დაპატიმრებულები.

● იაპონია-ახალი ზელანდია

საძრახისი ნაბიჯი

ტოკიო. **იაპონიის მთავრობამ ნეგატიური პოზიცია დაიკავა ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრის ლონგის განზრახვის გამო ეწვიოს ტოკიოს პეკინში მისი ვიზიტის დამთავრების შემდეგ.**

როგორც გაზეთი „აკაჰატა“ აღნიშნავს, ამ საძრახის ნაბიჯს საფუძვლად უდევს იმის შიში, რომ იაპონიაში ახალი ზელანდიის მთავრობის მეთაურის ვიზიტი ოფიციალური ტოკიოსათვის არასასურველ გავლენას მოახდენს შინაპოლიტიკურ ვითარებაზე. როგორც ცნობილია, ახალმა ზელანდიამ, ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ მძლავრი ზეგავლენის მიუხედავად, უარი თქვა ბირთვულიარაღიანი ამერიკული ხომალდების ქვეყნის ნავსადგურებში შეშვებაზე.

● აშშ

სენატმა მხარი დაუჭირა

ვაშინგტონი. **ამერიკის კონგრესის სენატმა ხანგრძლივი და დაძაბული კამათის შემდეგ ექვსი ხმის უპირატესობით მხარი დაუჭირა ნიკარაგუელი დაქირავებულებისათვის დამატებითი დახმარების გაწევას.**

როგორც სენატორმა ექსონმა განაცხადა, ამით ამერიკის შეერთებული შტატები „სახიფათო გზას“ ადგება. მეორე თვალსაჩინო დემოკრატმა სენატორმა ლიჰმ მას უწოდა „დიდი ნაბიჯი ცენტრალური ამერიკის ომში უშუალო მონაწილეობის გზაზე“. სენატში კენჭისყრის შედეგზე გავლენა მოახდინა ადმინისტრაციის მხრივ უპრეცედენტო ზემოქმედებამ, რომელმაც ამ დღეებში უხეში პროპაგანდისტული ინსცენირება მოაწყო, თითქოს ნიკარაგუის შეიარაღებული ძალები ჰონდურასის ტერიტორიაზე შეეჭრილიყვნენ.

მეცნიერთა კონტაქტები

„...გასხოვდეს, საიდან მოედინება წყალი“

ნგუენ ნგია ჩონგი, ჰანოის ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელი, ამ ცოტა ხნის წინ შინ დაბრუნდა.

წასვლისას თავის ოთახში, რომელიც ბაგებში, სტუდენტთა ქალაქის მესამე კორპუსის მესამე სართულზეა, ფრთხილად აკრიფა ახლობელთა სურათები, სამუშაო მაგიდის წინ რომ ჰკონდა ჩამოლაგებული. რახან სიტყვა ამ ოთახზე ჩამოვარდა, უნდა ითქვას, რომ იქ მისული სტუმარი მაშინვე გრძნობდა ვიეტნამურ გარემოს. ნგუენ ნგია ჩონგს თავისი ქვეყნის ეგზოტიკა თითქოს თან ჩამოჰყოლია. თავის თავთან განმარტოებულს, სადისერტაციო შრომაზე მუშაობის ჟამს, ძალას მატებდა მშობლების, მეუღლისა და ორი ქალიშვილის სურათების თვალის შევლება.

ძნელი და რთული ცხოვრების გზა გაჰყოლია ნგია ჩონგსა. დღეს ვიეტნამის კომუნისტური პარტიის წევრი, ნახევარ საუკუნეს მიტანებული კაცი, აუღელვებლად ვერ იხსენებს თავისი ბავშვობისა და ყმაწვილობის ჟამს, როცა ფრანგ კოლონიზატორებთან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა იყო გაჩაღებული. ისინი მაშინ სამრეწველო ვიეტნამში ცხოვრობდნენ. მამა, ნგოენ კუანგი, გლეხების წრიდან გამოსული პატრიოტი, სოფლის მასწავლებელი იყო, ოჯახში ორი ძმა და ორი და იზრდებოდნენ...

შემდეგ ამერიკელ დამპყრობთა სისხლიანი მახვილი გამოჩნდა ვიეტნამის ცასა და მიწაზე. პატრიოტი მამა და მისი ვაჟები ქვეყნის ჩრდილოეთში ებრძოდნენ მომხვდურთა. 1975 წელს ჩონგმა ნახადედა და რამდენიმე თვეს ერთად იყვნენ... შემდეგ ოჯახის ყველაზე უმცროსმა წევრმა ჰანოის მიაშურა. დღეს კი, მისი 30 წ

დრო ვერ გაცვეთს იმ კინოფირს



კინოს პიონერთა შორის ერთ-ერთი უპირველესია ფრანგი ეორჟ მელიესი (1861–1938), რომელმაც უდიდესი სამსახური გაუწია კინემატოგრაფს ყრმობის წლებში, როცა ეს ახალგაზრდა მუზა ფეხს იკიდებდა, დაჟინებითა და შეუპოვრობით ეძებდა საკუთარ გამომსახველობით საშუალებებს, თავის ენას, სპეციფიკას.

ამ უცილობელი დამსახურებისათვის ეორჟ მელიესს ფრანგული და ზოგჯერ მსოფლიო კინოს მამასაც უწოდებენ და სამართლიანადაც. მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ეორჟ მელიესი, რომელმაც ვეღარ გაუძლო კონკურენციას და 1914 წელს გაკოტრდა, სიცოცხლეშივე მიივიწყეს, ერთხანს პარიზის რომელიღაც ვაგზალში ვაჭრობდა სათამაშოებით, ბოლოს კი მოხუცთა თავშესაფარში გარდაიცვალა.

ქართული კინოს პიონერი ვასილ ამაშუკელი (1886–1977) მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე გარემოცული იყო საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით. განსაკუთრებით, ორმოციანი წლებიდან დაიწყო მისი შემოქმედების შესწავლა-გაანალიზება. ამ მხრივ დიდი ამაგი დასდეს ჩვენს კინომცოდნეობას დოცენტებმა მ. ალავიძემ და კინოკრიტიკოსმა კ. გოგოძემ, რომელთა შრომებს ეყრდნობიან და აღრმავებენ შემდგომი თაობის მკვლევარები. 50-იან წლებში ვასილ ამაშუკელს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა, რამაც კიდევ მეტი ხალისი და შემოქმედებითი იმპულსი შესძინა ამაგდარ კინემატოგრაფისტს, გულმხურვალე პროპაგანდისტულ მუშაობას რომ ეწეოდა.

ვ. ამაშუკელი ქუთაისის მკვიდრი იყო. ახალგაზრდობაში რამდენიმე წელი ისწავლა და იმუშაა მოსკოვსა და ბაკოში, შემდეგ კი სულ მშობლიურ ქალაქში ცხოვრობდა. 1974 წელს სწორედ მის პატივსაცემად ქუთაისში ჩაეყარა საფუძველი რესპუბლიკურ კინოფესტივალს, იქ მოეწყო პირველი ფესტივალი, პირადად მას კი საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

1976 წელს საზეიმოდ აღინიშნა ვასილ ამაშუკელის, იმდროინდელი მსოფლიოს უხუცესი კინემატოგრაფისტის, დაბადების 90 წლისთავი. ეს მეტად ორიგინალური ტელეიუბილე, იმედია, ბევრს ახსოვს. საიუბილეო საღამოს პრეზიდიუმში თბილისის ტელესტუდიაში იყო. იუბილარი — ქუთაისში, მაყურებელი კი მთელი საქართველო. თანამედროვე ტელეტექნიკის წყალობით ქუთაისიდან სამადლობელი სიტყვა გვითხრა ვასილ ამაშუკელმა, რომელიც თავის მეგობარ-ხათესავების გარემოცვაში იხდიდა თავის იუბილეს. რა ამაღელვებელი საღამო იყო, როგორი ბავშვივით აღტაცებული ჩანდა ბატონი ვასილი, რა ომახიანად გაისმოდა მისი ხმა მთელ საქართველოში.

ასეთი სახით შემორჩა იგი ჩვენს მეხსიერებას — ერის წინაშე ვალმოხდილი მამულიშვილი, ქართული კინოს პიონერი, ადამიანი, რომელიც ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე მოსკოვში დაეუფლა კინოსაოპერატორო ხელოვნებას, შემდეგ ჩამოვიდა ამერიკავკასიაში და ადგილობრივ მკვიდრთაგან პირველმა ჯერ ბაქოში დაიწყო მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმების გადაღება 1907-1909 წლებში, 1910 წლიდან კი ქუთაისში, სადაც შექმნა კიდეც თავისი შედევრი — „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“.

„აკაკის მოგზაურობა“, რომელიც სულ გადაღებული იქნა 1600 მეტრი, მაგრამ გამომძღვანებისა და დამონტაჟების შემდეგ დარჩა 1200, იმდროინდელი მსოფლიო დოკუმენტური კინოს უნიკალური ძეგლია არა მარტო მეტრაჟით, არამედ, რაც მთავარია, თავისი აშკარა იდეურ-პროფესიული დონით, რომლითაც იგი ერთობ გამოირჩევა იმდროინდელი პროდუქციისაგან. როგორც ცნობილი ფრანგი კინოისტორიკოსი ეორჟ სადული წერს, 1912 წლამდე არსად, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ შეუქმნიათ რომელიმე საზოგადო მოღვაწისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი. ვ. ამაშუკელმა დაარღვია იმნაირად მიღებული ტრადიცია და თავის სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი უძღვნა არა ეგრეთ წოდებულ მეფის ქრონიკას ან მეფისნაცვლის ზარზეიმებსა და ცერემონიალებს, არამედ სახალხო პოეტს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს აკაკი წერეთელს, და ამით დაამკვიდრა ახალი ტრადიცია, ახლადფეხადგმული ქართული კინო იმთავითვე ჩააყენა ხალხის სულიერი მოთხოვნილებების სამსახურში. ამითა ვართ ყველაზე მეტად დავალებული ვ. ამაშუკელისაგან და მისი დაბადების ას წლისთავსაც, რომელიც 26 მარტს შეუსრულდა, ამიტომ აღვნიშნავთ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით.

ამ თარიღთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებები დაისახა. ვასილ ამაშუკელის სახელის უკვდავსაყოფად. გაიმართება არა მარტო საიუბილეო საღამოები თბილისსა და ქუთაისში, არამედ ქართულ და რუსულ ენებზე ინგლისური და ფრანგული ანოტაციებით გამოვა მონოგრაფია. დაისვა საკითხი, რომ მისი სახელი ეწოდოს რომელიმე ქუჩას, კინოთეატრს, დაწესდეს ვ. ამაშუკელის სახელობის სტიპენდია საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტის საოპერატორო განყოფილების სტუდენტებისათვის.

რ. ჩხეიძე,
კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი;

გ. დოლიძე,
რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტის დეკანი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, დოცენტი.

ორმოცდაათიანელთა თაობა

თბილისის მხატვრის სახლში გამართულ თანამედროვე ქართული ფერწერის გამოფენაზე წარმოდგენილია უახლესი სახვითი ხელოვნების მრავალი მიმართულება. გამოფენა მნახველებს აცნობს 35 წამყვანი ყალმის ოსტატის ნაწარმოებებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ორმოცდაათიან წლებში.

დღეს კარგად იცნობენ ზ. ნიკარაძის, ზ. წერეთლის, ჯ. ხუნდაძის, ე. ბერძენიშვილის, რ. თარხან-მოურავის, ა. ვარაზის, ექსპოზიციის სხვა მონაწილეთა ტილოებს. ოსტატებმა, რომლებიც ერთმანეთს არ ჰგვანან, ხელოვნების თავიანთი გზის დასაწყისშივე ხელი მოჰკიდეს ეროვნული ფერწერის განახლების ძნელ ამოცანას.

— ახლანდელი გამოფენა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს მხატვრის სახლის დირექტორმა თ. გოცაძემ, — იწყებს დიდ სერიალს, რომელიც ჩაფიქრებულია როგორც მოთხრობა საქართველოს თანამედროვე სახვითი ხელოვნების შესახებ. და შემთხვევითი როდია, რომ იგი იწყება „ორმოცდაათიანელთა თაობის“ წამყვან ოსტატთა გაცნობით. არსებითად, ხომ სწორედ ამ მხატვრებმა დაიწყეს ახალი პერიოდი ქართულ ფერწერაში, გზა გაუხსნეს მის შემდგომ განვითარებას.

არდადეგების დღეებში

მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგებთან დაკავშირებით ბევრი ღირსშესანიშნავი ღონისძიება მოეწყო რესპუბლიკის მასშტაბით.

სურათებზე: თბილისის მეცხრამეტე სამუსიკო სკოლის სასულე ორკესტრის წევრებს კონცერტი აქვთ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში; ცხინვალის ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლის ნორჩი ტანმოვარჯიშეები.

ჯ. ლომაძისა და ლ. გუსოვის ფოტო.

ყაბახი

სატურნირო ორბიტა

რიგები. კენტაუსა (ყაზახეთი) და თბილისში დაიწყო საკავშირო ჩემპიონატის საწყისი ეტაპი. ამჯერად უმაღლესი ლიგის 12 გუნდი განაწილებულია ორ ჯგუფად, რომლებიც 5 აპრილამდე 5-5 მატჩს გამართავენ, ხოლო 27 მაისიდან 8 ივნისამდე თორმეტივე გუნდი ერთად შეიკრიბება მოსკოვში და აქ გაირკვევა 8 უძლიერესი კოლექტივის ვინაობა, შემდეგ კი ეს გუნდები ივნის-ნოემბერში მედელბისათვის განაგრძობენ ბრძოლას. გთავაზობთ პირველ დღეს გამართული მატჩების შედეგებს. **თბილისი.** ლენინგრადის „პრომორეცი“-კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაეტროი“—6:6, მოსკოვის „სლავა“-თბილისის „ლოკომოტივი“ — 13:3, ქუთაისის „მშენებელი“-ლვოვის „სოკოლი“ 22:11; **კენტაუ.** მოსკოვის სამხედრო-საჰაერო აკადემია-ტირასპოლის „ელექტრომაშა“ — 15:3, მოსკოვის „ლოკომოტივი“-მოსკოვის „ფილი“ — 16:7, ალმა-ათის „კიევის „ავიატორი“ — 21:16.

ბუქარესტში გაიმართა იუნიორ რეგბისტთა (18 წლამდე ასაკის სპორტსმენებს შორის) ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩები. სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა ესპანეთის გუნდი ანგარიშით 19:17. ფრანგებმა მოუგეს პოლონელებს, იტალიელებმა — ბულგარელებს, რუმინელებმა — გფრ-ის რეგბისტებს. ნახევარფინალში სსრ კავშირის ნაკრების მეტოქე იქნება საფრანგეთის კოლექტივი, რუმინელები კი იტალიელებს შეხვდებიან.

ჭიდაობა. ქალაქ ფრეიბურგში გაიმართა ორი საერთაშორისო შეჯიბრება „გფრ-ის დიდ პრიზზე“. **კლასიკურ ჭიდაობაში** 8 საბჭოთა მონაწილიდან შვიდმა საპრიზო ადგილები მოიპოვა: მათ შორის ეიბერელ ადგილებზე გამოვიდნენ ნოგოჩერკასელი ს. დიუდიაევი (52 კგ-მდე წონა), მინსკელი ო. არუთიუნიანი (57 კგ), ბროზნაელი ა. აბაევი (68 კგ), მოსკოველი მ. მამიაშვილი (74 კგ) და ქუთაისელი თ. აფხაზავა (82 კგ). **თავისუფალ ჭიდაობაში** კი ოქროს მედლები დაისაკუთრეს მოსკოველმა ს. კორნილაევმა (48 კგ), სოხუმელმა ე. მუსიაევმა (57 კგ), მინსკელმა ვ. კრეიდიჩმა (68 კგ) და მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ტ. მაგომედოვმა (74 კგ).

ამერიკის ქალაქ ტოლიდოში მსოფლიო თასის მოპოვების შემდეგ სსრ კავშირის თავისუფალ სტილის მოჭიდავეთა ნაკრებმა ილეთნისის ზტატნი გამართა ამბა. ნაგური მატჩი აშშ-ს ეროვნულ გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 7:3. საბჭოთა სპორტსმენები ამ ქვეყანაში კიდევ ორ მატჩს გამართავენ.

კალათბურთი. თბილისში მიმდინარე ნორჩ კალათბურთელთა (1970–1971 წლებში დაბადებულთა შორის) საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის პირველი ორი ტურის შედეგები ასეთია: მოლდავეთი-უკრაინა — 84:69, რსფსრ-ლიტვა — 100-91, საქართველო-მოსკოვი — 69-68, მოლდავეთი-რსფსრ — 85-95, მოსკოვი-ლიტვა — 62-65, საქართველო-უკრაინა — 91-86.

ბადრაკი. ბრიუსელში გრძელდება ეიქთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება. ოთხი ტურის შემდეგ ამ ტურნირის საბჭოთა მონაწილეებს ო. რომანიშინს და ა. კარპოვს 2,5-2,5 ქულა აქვთ.

ფიხბურთი. ქიშინოვის „ნისტრუსა“ და რიგის „ფაუგავლა“ მატჩით დაიწყო პირველი ლიგის ჯუნდების წლევანდელი ჩემპიონატი. შეხვედრა მოიგეს რიგელებმა ანგარიშით 2:1.

ფიხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ნაკრებმა გუნდებმა ამ შეჯიბრებისათვის მზადების პროგრამით რამდენიმე ამხანაგური მატჩი გამართეს. გთავაზობთ შედეგებს: საფრანგეთი-არგენტინა — 2:0, იტალია-ავსტრია — 2:1, ჩრდილოეთ ირლანდია-დანია — 1:1, შოტლანდია-რუმინეთი — 3:0, ესპანეთი-პოლონეთი — 3:0.

მიეძღვნა ქართველი პოეტის შემოქმედებას

მოსკოვი. (საკადესი). ქართველი პოეტის ხუტა ბერულავას შემოქმედებას მიეძღვნა საღამო, რომელიც 25 მარტს გაიმართა კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში. იგი მოეწყო ცნობილი სიტყვის ოსტატის, ხალხთა მეგობრობისადმი მიძღვნილი პატრიოტული ნაწარმოებების ავტორის დაბადების 60 წლისთავის აღსანიშნავად. ამ ნაწარმოებთა შორის, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა ენებზეა ნათარგმნი, არის პოემები „თორმეტი სიმღერა ბელორუსიაზე“ და „თინა თორტიზელი“, ლექსი „მოსკოვი“.

არაჩვეულებრივი გამოფენა

საქართველოს დამსახურებული მხატვრის ე. ბერძენიშვილის ახალ ფერწერულ ნამუშევართა ვერნისაჟი მოეწყო... თბილისის ერთ-ერთ უძველეს №2 აფთიაქში. ეს აფთიაქი რემონტის შემდეგ კვლავ გაიხსნა მელიქიშვილის ქუჩაზე. ახლებურად გაწყობილი დაწესებულება განსაკუთრებით კოპწიად გამოიყურება. ულამაზესი ხის კედლების ნაცვლად, რითაც მშენებლები ხშირად ხარვეზებს მალავდნენ, ანა მომსველელ ლამაზად მოხატული შპალერი ხვდება. აქ მოეწყო ასეტიკური ბლოკი, წამლის შესანახი სპეციალური ანტრესოლები, გაიზარდა საწყობის ფართობი. ინტერიერი კი დამშვენა ორმა სურათმა: „დედაშვილობამ“ — სილამაზისა და ჯანმრთელობის სიმბოლომ და, „ედამ“ — როგორც ცნობილია, ოქროს საწმისის მითის გმირი ქალი სახელგანთქმული იყო წამლის დამზადებით.

ქალაქის ცენტრში მდებარე ამ აფთიაქს, რომელსაც თბილისელთა არაერთი თაობა იცნობს და სადაც ხშირად შედიან ტურისტები, მინიგამოფენამ საბა უცვალა. განახლდა საფირმო ნიშანიც შესასვლელთან, ორიგინალური პერსონალის ფორმა, დამშვენებული ლამაზი სამკერდე ნიშნით.

— რა თქმა უნდა, აქ ერთი-ორი წუთით შემოდიან, წამლის საყიდლად, — გვეუბნება აფთიაქის გამგე დ. ქემერტელიძე. — მაგრამ საქმე მარტო ის ხომ არ არის, რომ მოემსახურო ან რამე ურჩიო შემოსულს. ყიდველთა გუნებაგაწყობილებაც ჩვენი პროფესიული სარბუნავია, მასზე კი გავლენას ახდენს ატმოსფერო, პერსონალის ყურადღება, წესრიგი და ისეთი მნიშვნელოვანი „წვრილმანიც“ კი, როგორიც არის გაფორმება.

ამ აზრს იზიარებს საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავჯდომარე ე. ამაშუკელი, რომელიც აფთიაქის გახსნას დაესწრო:

— აფთიაქი ხომ უბრალო სამედიცინო დაწესებულება არ არის. როგორც კაუნასის, ტალინის მაგალითი გვინჩვენებს, იგი შეიძლება გახდეს და უნდა გახდეს კიდეც ქალაქის ღირსშესანიშნაობა. შემოქმედებითი ორგანიზაციის ფონდებში ბევრია საინტერესო ნამუშევარი, გაფორმებაში შეიძლება თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტების ჩაბმაც. ხელოვნების ნაწარმოებების უნარიანი გამოყენებაც ხომ კურნავს სნეულს, როგორც ეს ჯერ კიდევ ძველად შენიშნეს.

ზ. საფრაზიანი,
საქინფორმის კორ.

ჩაიზეც ვთქვათ: შესვი, გაამოს!..

ნათქვამია, რამდენი კაციც არის, აზრიც იმდენიაო. სასმელთა მიმართაც მუდამ ორად იყოფოდა აზრი — ერთნი უპირატესობას ჩაის ანიჭებდნენ, მეორენი — სხვა სასმელებს.

მოდით, პირდაპირ ვთქვათ სათქმელი: რატომ არ არის ჩაი ყველგან და ყოველთვის? ჩვავალენი კი სრულფასოვნად ეს ფრიად სასარგებლო სასმელი ადამიანთა სიმხნევის სამსახურში?

საქართველოში, აგერ ოც წელზე მეტია, ეწყობა გაზაფხულობით ჩაის კვირეული თუ დღესასწაული. ამ კეთილშობილური საქმის ერთ-ერთი მოთაფე და ქომაგი თბილისის ჩაის სახლია, რომელსაც ამ შემოდგომაზე არსებობის ორი ათეული წელი შეუსრულდება.

ჩაის სმის კულტურის ამაღლებისათვის დაწყებულმა ლაშქრობამ კეთილი ნაყოფი გამოიღო. ასე, მაგალითად, შარშან ჩაის წლიურმა მოხმარებამ ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში საშუალოდ 185 გრამი შეადგინა (თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე 1964 წელს).

ჩაი მაწიერიც არის და მკურნალიც. იგი, მართლაც რომ უბარი სასმელია და, როგორც ძველ ჩინურ მანუსკრიპტებშია ნათქვამი, ამხნევებს, გულს უხალისებს და გონებას უფხიზლებს ადამიანს. გავიხსენოთ ოდინდელი სიბრძნე: „ჩაის არა სვამ — როგორღა გექნება ძალა? ჩაის დალევ — ძალაც გექნება!“

— იცი, ძამა, — მითხრა ერთმა ნატანებელმა მოხუცმა, — ჩაი სიზარმაცის მტერია. ცხელ, სურნელოვან ჩაის რომ დალევ, გამხნევდები, გახალისდები და, რომც არ გინდოდეს, გული სქმისკენ გგიწევს. ეს სიტყვები ზედმიწევნით ახასიათებს ჩაის თვისებებს და იმ სიკეთეს, რომელიც მას მოაქვს ადამიანებისათვის.

ჩაი მრავალ ოჯახშია აღიარებული როგორც კეთილშობილი სასმელი, რომელიც არც აგრესიულ მისწრაფებებს აღვიძებს და არც ორგანიზმს ფიტავს. ამიტომაც მიიჩნევენ მას გულითადობის, სტუმართმოყვარეობის სიმბოლოდ.

მაინც რამდენი და როგორ უნდა ვსვათ ჩაი?

სპეციალისტთა აზრით, ეს დამოკიდებულია ჰავაზე, ტრადიციებსა და თვით ადამიანზე. აზიერმაჯანში, მაგალითად, 10-15 ჭიქა ჩაის სვამენ დღე-ღამეში. შუა აზიის რესპუბლიკებში კი მეტსაც. მართლაც, ჩაი შეიძლება მიირთვათ „რამდენიც სულს უნდა“. რასაკვირველია, მხედველობაში გვაქვს, რომ „სულმა“ ზომა იცის, ყოველ შემთხვევაში, იმაზე უკეთ, ვიდრე, მაგალითად, ადალზელანდიელმა კაფეტერიის მფლობელმა ბრაიან უპიტმა, რომელმაც ექვს საათსა და შვიდ წუთში 81 ჭიქა ჩაი დალია. რა თქმა უნდა, მკითხველი ამ რეკორდს შორს დაიჭერს.

ეს კარგად უწყიან ამ სასმელის ფასი. (ამ ქვეყანაში ხომ თითოეულ მოსახლეზე დაახლოებით 4,5 კილოგრამი მშრალი ჩაი მოდის). განსაკუთრებით სასარგებლოა მწვანე ჩაი, რომელშიც სამკურნალო ნივთიერებანი — ტანინი, კატეხინი, ვიტამინი — ორჯერ მეტია, ვიდრე შავ ბიხაო ჩაიში.

ჩვენში ჩაის სმის შედარებით დაბალი დონე იმითაც არის გაპირობებული, რომ ყველგან როდია მოწყობილი რიგიანი საჩაიე. განა ნორმალურია ის, რომ თბილისსა თუ რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში დღემდე ვნაკრობდეთ სპეციალურ საჩაიეებსა თუ საფირმო მაღაზიებს?

სწორედ კვირეულის დაწყებამდე შემოვიარეთ თბილისის საჩაიეები თუ კიოფები და გაოცებული დავრჩით მათი სიმცირითა თუ მოუხერხებლობით. მილიონიან ქალაქში მხოლოდ თორმეტი საჩაიეა! ბოლო ხუთ წელიწადში არათუ გაზრდილა მათი რაოდენობა, შემცირებულა კიდეც ერთი საჩაიით... კარგია, თუ გეგმით გათვალისწინებულ ოთხი ახალი საჩაიის გახსნასა და ორიც ალკოჰოლიანი სასმელებით მოვაჭრე სასაუზმის საჩაიედ გადაყვანებას წლის ბოლომდე მაინც განვახორციელებთ.

ეს მომავალში, მაგრამ... რაც ხელთა გვაქვს, როგორღა ვიყენებთ? განა არსებული საჩაიეები მზად არიან გაგვიმასპინძლდნენ სხვადასხვა სახისა თუ ხარისხის ჩაით? არა! ანდა, რად შემოვსწყვიტით მწვანე ჩაის, რომელიც ასე უბერია თავისი სამკურნალო თვისებებით? კიდევ მრავალი კითხვა მოითხოვს პასუხს. და ეს მაშინ, როცა ყველა პირობა გვაქვს საიმისოდ, რომ საზოგადოებრივი კვების დაწესებულებებმა აუგი არ ათქმევინონ მომხმარებლებს. ამ მხრივ კარგი ტრადიციები აქვს რესტორან „არაგვს“, სადაც კვირეულისა თუ ზეიმის დღეებში გულუხვად უმასპინძლდებიან ჩაის მოყვარულთ. კარგი იქნებოდა თბილისის საკალაქო საბჭოს აღმასკომის საზკვების სამმართველოს ინიციატივით ხშირად ეწყობოდეს მსგავსი შეხვედრები ჭიქა ჩაიზე.

ჩვენს სასურსათო მაღაზიებში ყოველთვის როდი შეხვდებით ჩაის ისეთ მაღალხარისხოვან ნიმუშებს, როგორიც არის „საქართველოს თაიგული“, „ექსტრა“, „ენგური“ და სხვა. თბილისზე რომ ვლაპარაკობთ, მარტო თბილისელებს როდი ვგულისხმობთ, ყოველდღე ათასობით ჩაის მოყვარული სტუმარი ჩამოვდგება და უმრავლესობა გაწბილებული ბრუნდება შინ.

ანდა, რკინიგზის მაგისტრალებს არ იკითხავთ! ამ ათეული წლის წინათ კი უმასპინძლდებოდნენ მატარებლის მგზავრთ ჩაით, მაგრამ... მერე და მერე, რატომღაც ხელი აიღეს ამგვარ მომსახურებაზე, და ეს მაშინ, როდესაც სსრ კავშირის გზათა სამინისტროს განკარგულებით მგზავრები „ვაგონებში უზრუნველყოფილ უნდა იქნენ ჩაით, სულ ცოტა დღეში სამჯერ“.

ახლა თბილისის ჩაის სახლსაც ვეცხუმროთ. აქ მუდამ ხალხმრავლობაა. და მასპინძლებიც არ ღალატობენ კეთილ ტრადიციას — რიგიანად უმასპინძლდებიან ყველას. ამას რომ ვამბობთ, უნებლიეთ ამ სახლის პირველი დირექტორი, ჩაის სმის კულტურის ერთ-ერთი უპირველესი ქომაგი, აწ განსვენებული თამარ გვანცელაძე გვახსენდება. ეს მისი დამსახურებაა, რომ აქაური კოლექტივი ახლანდელი დირექტორის ნუნუ ნებიერიძის თაოსნობით კვლავ აქტიურ პროპაგანდას უწევს ქართულ ჩაის.

500 000! ამდენმა საბჭოთა თუ უცხოელმა ტურისტმა გაუსინჯა აქ გემო ჩაის და მიიღო სათანადო ინფორმაცია სიცოცხლის ამ ელექსირზე.

მომხმარებელი განსაკუთრებით შაბათ-კვირაობით გვეძალება, — გვეუბნებიან ჩაის სახლის მუშაკები, — მოდიან მთელი ოჯახები. ჩვენი ხშირი სტუმრები არიან სტუდენტები.

ჩაის პროპაგანდაში დიდი როლი ენიჭება თითოეულ კომუნისტს, კომკავშირელს, შრომითს კოლექტივს, იგი ყველამ უნდა გამოვიყენოთ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ახლა, ისე როგორც არასდროს, განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებს ჩაის ხარისხის ამაღლება. და ჩაის კვირეულებიც ხომ სწორედ ამას ემსახურება!

უდავოა, რაც მეტ ჩაის შევსვამთ, მით უფრო მხნედ ვიქნებით და გულიც ნაკლებად გაგვიწევს ალკოჰოლისაკენ, განსაკუთრებით არყისაკენ, რომელიც, ანტონ ჩეხოვის თქმისა არ იყოს, „...თუმცა თეორია, მაგრამ აწითლებს ცხვირს და აშავებს რეპუტაციას“.

მუდამ და ყოველ ოჯახში დუღდეს სამოვარი! ჭიქა ჩაიში კი ხომ, როგორც ხატოვნად ამბობენ, მთელი აფთიაქია!

— მაშ ასე, ჩაი...
— ჩაი?...
— დიახ, ჩაი!

მ. დავითაშვილი.

ინიციატორია საღამოს გაზეთი

ვინც თვალს ადევნებს გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ პუბლიკაციებს ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ, დაგვეთანხმება, რომ რედაქცია უთუოდ გულმოდგინეობას იჩენს საქმისადმი. საჭირო ინიციატივად აღიქმება გაზეთის 26 მარტის ნომერში გამოქვეყნებული თბილისის საპატიო მოქალაქეთა მიმართვა მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქების საღამოს გაზეთების მკითხველებისადმი, რომ საქართველოში წამოწყებული და დამკვიდრებული ჩაის ზეიმი, რომელსაც 20 წელი შეუსრულდა, საკავშირო ტრადიციად იქცეს. „ნუთუ არ დადგა ჟამი ჩაის ზეიმის უფრო ფართოდ, მთელი კავშირის მასშტაბით მოწყობისა?“ — ნათქვამია მიმართვაში.

დრო მართლაც დადგა.

დრო — ჭიქა ჩაით სტუმრის გამასპინძლებისა!

გერმანულიდან თარგმნა
შ. ამირანაშვილმა.

ი. ყეინაშვილისა და ვ. კუციას ნახატები.

ყურადღება: ელექტროენერგიის ძირას მადახდა შენდა!

შაბშან შემოდგომაზე და მიმდინარე წლის ზამთარში ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა, კერძოდ, მრეწველობა, სხვა ორგანიზაციები, მოსახლეობა პრაქტიკულად შეუფერხებლად მარაგდებოდნენ ელექტროენერგიით და ეს მხიმენელოვანწილად განაპირობა მისმა მომჭირნე ხარჯვამ, ლიმიტების დაცვამ, „საქმთავარენერგოს“ მიერ საამისოდ განხორციელებულმა ორგანიზაციულ და ტექნიკური ხასიათის მრავალმა ღონისძიებამ.

მომავალში ელექტროენერგიით სახალხო მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო ობიექტების უზრუნველყოფა საგრძნობლად გაუმჯობესდება და იგი უფრო მეტად დაფუძნდება მომჭირნეობას. ეს გამომდინარეობს ხსენ კავშირის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებებიდან.

„საქმთავარენერგო“ მოავალშიც ყველაფერს იღონებს ამ მხრივ საწარმო-დაწესებულებათა შეუფერხებელი მომარაგებისათვის, ამასთან შეახსენებს მათს ხელმძღვანელებს, რომ ელექტროენერგიის ქირას გადახდა უნდა! **ქირის გადახდის ვადაა ყოველი თვის 25 რიცხვი და ვინც მას არ დაიცავს, შეუწყდება ენერგიის მიწოდება.**

თ. ი. კობახიძე

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სკკპ წევრი 1950 წლიდან, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, დირიჟორი თეიმურაზ ივანეს ძე **კობახიძე.**

თ. კობახიძე დაიბადა თბილისში 1924 წელს. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ სწავლას განაგრძობს ასპირანტურაში, პარალელურად ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის მე-5 სამუსიკო სკოლაში, სადაც შემდეგში დირიჟორად მუშაობდა. სადირიჟორო ხელოვნებით გატაცებამ განაპირობა მისი მეორედ შესვლა ასპირანტურაში, აქჯერად სადირიჟორო ფაკულტეტზე, რომლის დამთავრებისთანავე ინტენსიურ მოღვაწეობას იწყებს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირიჟორად და თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის მთავარ დირიჟორად.

განსაკუთრებული ამაგი დასდო თ. კობახიძემ ქუთაისის მუსიკალურ ცხოვრებას. 1952 წელს იგი დაინიშნა ქუთაისის მელოტონ ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორად. მისივე მეცადინეობით დაარსდა ქუთაისში სახალხო საოპერო თეატრი, რამაც მოუმზადა საფუძველი 1968 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ფილიალის გახსნას, რომლის მთავარი დირიჟორიც იყო 1974 წლამდე. იგი სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურა ეროვნულ თეატრს და ამასთან ინტენსიურ შემოქმედებითს მოღვაწეობას ეწეოდა ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრში მისი დაარსების დღიდან.

წავიდა ჩვენგან ქართული მუსიკალური ხელოვნების ამაგდარი ნიჭიერი მუსიკოსი და გულითადი მეგობარი, რომლის ხსოვნაც სამუდამოდ დარჩება ქართული კულტურის მოამაგეთა შორის.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს თეატრალური საზოგადოება; თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი და მისი ქუთაისის ფილიალი.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

ჩაინრიხ ჰაინე

ჩაი

იუმორესკა

ამბავი, რომელსაც ახლა მოგითხრობთ, იტალიის კურორტ ლუკაში მოხდა.

აქ ის ფილოსოფიური მორალია, ზოგჯერ, ჩვენდა უნებურად, სასაცილოს რომ გვხდის ხოლმე.

განა დამნაშავე ვარ, კარგი გემოვნება რომ მაქვს და მშვენიერი ჩაი მიყვარს? მადლიერების გრძნობა საკმაოდ მაქვს და ლუკის კურორტზე გულითადად ვაქებდი სახლის პატრონს, რომელიც ისეთ შესანიშნავ ჩაის მიდუღებდა, რომლის მსგავსიც არასოდეს დამილევია.

აღტაცებას ხშირად ერთ ქალბატონს ვუზიარებდი, რომელიც ჩემს მეზობლად ცხოვრობდა.

— განა რა არის ასეთი?! — თქვა ერთხელ ღიმილით ინგლისელმა ქალბატონმა, — მე საგანგებოდ ლივორნოდან მომდის ჩაი, რომელიც ყველაზე საუცხოოდ ითვლება.

— მაგრამ, მოწყალეო ქალბატონო, — მივუგე მტკიცედ, — დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ჩაი მაინც გაცილებით უკეთესია.

მილეტი და სხვა ქალბატონები, რომლებიც იმ დროს შემთხვევით აქ იყვნენ, ჩაიზე დავპატიჟე და შემპირდნენ, რომ მეორე დღეს ექვსი საათისათვის შეიკრიბებოდნენ იქვე ბორცეზე, ხის ძირას დადგმულ მაგიდასთან, საიდანაც იქაურობის წარმტაცი მომაჯადოებელი ხედი იშლება.

დადგა დათქმული დრო. სუფრა გაშალეს, ბუტერბროდები გაამზადეს, მაგრამ ჩაი იგვიანებდა. ქალებს მოუთმენლობა დაეტყოთ. უკვე შვიდის ნახევარი გახდა, ბინდის ჩრდილები შავად გაწვნენ მთის ძირას, მაგრამ ჩაის მოტანას საშველი არ დაადგა. ჩამავალი მზის სხივები მხოლოდ მთის მწვერვალებსღა აშუქებდა და მე ქალბატონების ყურადღება გავამახვილე იმ ფაქტზე, რომ მნათობი უხალისოდ ტოვებდა მანდილოსანთა ამ ბრწყინვალე საზოგადოებას... ჰო, ეს